პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 103 (19245) შაბათი, 4 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

**დღეს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობაა.**

**ყველანი — შაბათობაზე!**

# გამარჯვების დღესასწაულს — შრომის დღესასწაული!

საქართველოს მშრომელებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ინიციატივას 1985 წლის 4 მაისს დიადი გამარჯვებისადმი მიძღვნილი საკავშირო კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგებზე, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების კოლექტივებმა კონკრეტული ამოცანები დაისახეს და დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში კარგადაც მოემზადნენ საამისოდ.

თბილისის „ნარხმშენებლის" საწარმოო გაერთიანებაში დღეს სამუშაოდ გამოვა ყველა მუშა-მოსამსახურე. დიდი სამამულო ომის მონაწილემ, ხარატმა გ. კვიატოვსკიმ, ელექტროშემდუღებელმა, III ხარისხის შრომის დიდების ორდენოსანმა ნ. ხახუკიამ, ზეინკალმა, ლენინის ორდენოსანმა ი. ადუაშვილმა, ახალგაზრდა ზეინკალმა ვ. მალკოვმა მოუწოდეს ნარხმშენებლებს მიაღწიონ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას. გაერთიანებაში დღეს 70 ათასი მანეთის უმაღლესი კატეგორიის სასაქონლო პროდუქცია დამზადდება. კომუნისტურ შაბათობაზე გამომუშავებული მთელი თანხა გადაირიცხება მოსკოვის გამარჯვების მემორიალის შექმნისათვის და მშვიდობის ფონდში. საწარმოს ტერიტორიაზე დაირგვება 250 ხე და ბუჩქი. ასობით ნარხმშენებელი თბილისის გამარჯვებისა და კიკვიძის სახელობის პარკების კეთილმოსაწყობად იშრომებს, მთელი მონდომებით იმუშავებენ დღეს თბილისელი ელმავალმშენებლებიც. ისინი დაამზადებენ 200 ათასი მანეთის პროდუქციას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში თავის სამუშაო ადგილს დაიკავებს 100 ათასზე მეტი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მინდვრებს მიხედავს 60 ათასამდე კაცი. ტყვარჩელის შახტების სამმართველოს, „სოხუმხელსაწყოს", სხვა საწარმოთა მრავალი ბრიგადა, ცალკეული მუშები პროდუქციას გამოუშვებენ დაზოგილი ნედლეულით, მასალებით, ელექტროენერგიით, სათბობით.

დიადი გამარჯვებისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში მზიური აჭარის ყველა მშრომელი მიიღებს მონაწილეობას. მოკლე დროში ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფ- [illegible]

**დიდ** სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე ერთსულოვნად გამოვა ჩემი ბრიგადის ოცივე წევრი.

სულიერ კმაყოფილებას განიჭებს ის ამბავი, რომ ვეხმაურებით გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების ინიციატივას. ჩვენც სრულ სამუშაო ცვლაში ვიმუშავებთ აუნაზღაურებლად, გაორკეცებული ენერგიით, უმაღლესი ნაყოფიერებით, რომ გამოვუშვათ მაღალხარისხოვანი ნაწარმი.

დარწმუნებული ვართ, ჩვენ მეტად კეთილშობილურ საქმეს ვემსახურებით. ამით პატივს ვცემთ იმათ ხსოვნას, ვინც ვერ მოესწრო გამარჯვების სიხარულს. გამომუშავებული სახსრები მოხმარდება კეთილ საქმეს — ომისა და შრომის ვეტერანების სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, საბრძოლო დიდების სამახსოვრო ადგილების კეთილმოწყობას.

ჩემს ბრიგადაში ძირითადად ქალებია, რომელთაც ჰყავთ შვილები და მათთვის განსაკუთრებით სანუკვარია მშვიდობა. მშვიდობა შრომას ნიშნავს და ისინიც მზად არიან თავდადებით იშრომონ, განამტკიცონ ქვეყნის ძლიერება, ხელდამშვენებული შეხვდნენ გამარჯვების 40 წლისთავს.

**ვ. ქემაშვილი,**
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ქარგალი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

◆ ◆

**დიდ** სამამულო ომში სხვებთან ერთად თავი ისახელეს ნატანებელმა ვაჟკაცებმა. ბევრმა მათგანმა სამუდამო სამყოფელი იქ, ფრონტზე პოვა. ნატანების მადლიანი ადამიანები გულისყურით ეკიდებიან შინმოუსვლელთა სკვერებისა და ხეივნების მოწყობას, კერძოდ, ჩემი ინიციატივით, ჯერ კიდევ 1965 წელს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეათე ბრიგადაში მოვაწყვეთ შინმოუსვლელთა სტენდი, გავაშენეთ ხეხილის ბაღი, რომელსაც ამშვენებს წარწერა „გმირული ბრძოლებიდან შინმოუსვლელი ორი დისა და 17 ძმის მოსაგონებლად". ბაღს შინმოუსვლელთა ოჯახის წევრები და ნატანების პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები უვლიან.

- **ჩვენი წვლილი**
- **შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად**
- **ქუდზე კაცი**
- **ერთსულოვნად, მონდომებით**

ამ დღეებში ნატანებლებმა ახალი ინიციატივა გამოიჩინეს — თითოეულმა ომის ვეტერანმა დარგოს და გაახაროს 40 ძირი ლიმონი. დღეს, როგორც ერთი, ყველანი გამოვალთ შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად ლიმონის ბაღის გასაშენებლად.

**დ. ბაქანიძე,**
მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების მკვიდრი, სოციალისტური შრომის გმირი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

◆ ◆

**შაბათობაზე** ოლქის 13 საწარმომ, 100-ზე მეტმა ბრიგადამ, 2.135 კაცმა გადაწყვიტა იმუშაოს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით. სულ შაბათობაზე გამოვა 55.000-მდე კაცი, მათგან 21.000 უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე იშრომებს უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად.

ამ დღეს გამომუშავებული იქნება 326.000 მანეთის პროდუქცია. აქედან 222.940 მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

მარტო დაზოგილი ნედლეულით, მასალებით და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით წარმოებული იქნება 43.670 მანეთის პროდუქცია. ამ დღეს შესრულდება 68.235 მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

შაბათობის დღეს 20 ათას კაცზე მეტი იმუშავებს კავკასიის საუღელტეხილო-საავტომობილო გზის, ცხინვალის შემოსავლელი გზის, წყალსადენის, პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი კორპუსების, სკოლების, საბავშვო ბაღების, სამკურნალო დაწესებულებების, ფერმების სამშენებლო უბნებზე.

ქალაქსა და რაიონულ ცენტრებში გაგრძელდება გამარჯვების, მშვიდობისა და მეგობრობის პარკებისა და ხეივნების გაშენება.

შაბათობა გადაიქცევა ნამდვილ სახალხო შრომითს ზეიმად. ეს იქნება იმათი ხსოვნის მუშური დიდი ძეგლი, ვინც თავი შესწირა გამარჯვებას.

**მ. ტეხოვა,**
ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

◆ ◆

**ახალციხის** პურის მიმღები საწარმოს კომბინირებული საკვების საამქრომ გადაჭარბებით შეასრულა იანვარ-აპრილის დავალება. განვლილ 4 თვეში საწარმომ 207 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია აწარმოვა.

საწარმოს შრომისმოყვარე კოლექტივმა გადაწყვიტა 4 მაისს, შაბათობის დღეს, იმუშაოს დაზოგილი ნედლეულითა და საწვავით და გამომუშავებული თანხა მთლიანად გადარიცხოს შინმოუსვლელთა ობელისკების ასაშენებლად, მათი სახელობის ბაღებისა და ხეივნების გასაშენებლად, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალება შეასრულოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამერვე წლისთავისათვის.

დღეს, ომში დაღუპულთა მოსაგონარ შაბათობაზე ყველანი დარაზმულად გამოვლენ.

**ნ. მანჩხაშვილი,**
კომბინირებული საკვების საამქრის მუშა.

**თბილისის** საიარაღო ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების დავალებანი. გეგმის გადამეტებით დამზადდა 40 ათასი მანეთის პროდუქცია. მომხმარებელს გაეგზავნა გათვალისწინებულზე მეტი სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმი.

საწარმოს კოლექტივი მზად არის დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო კომუნისტური შაბათობისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურე.

● ●

სურათზე: № 2 ხრახნსაჭრელი საამქროს მოწინავე ხარატი თემურ კაპლიშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.



**საგარეჯოს** რაიონის ალორძინებულ სოფელ უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში დროულად და აგროვადებში სრულდება საგაზაფხულო სამუშაოები. დაითესა 800 ჰექტარი შვრია, 542 ჰექტარი მზესუმზირა, 200 ჰექტარი იონჯა, 332 ჰექტარი ქერი, 542 ჰექტარი ხორბალი, 1000 ჰექტარი ლობიო, საკვები ჭარხალი, სასილოსე სიმინდი და სხვა ერთწლოვანი კულტურები.

ამ სამუშაოების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ვაჟა აბულაძემ. ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს დღევანდელ შაბათობაზე უკლებლივ ყველანი გამოვიდნენ სამუშაოდ და მეურნეობის მუშებთან ერთად მიაღწიონ მაღალ შრომით მაჩვენებლებს, გამომუშავებული თანხა მთლიანად გადარიცხონ დიდ სამამულო ომში დაღუპულ შინმოუსვლელთა ობელისკების ასაშენებლად, მათი სახელობის პარკების, სკვერებისა და ბაღების გასაშენებლად.

სურათზე: სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ვაჟა აბულაძე.

ვ. გენბიურის ფოტო.

## საზეიმო კრება

**3 მაისს** მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა 9 მაისს წითელ მოედანზე მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადის მონაწილეთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს.

კრებაზე გამოვიდა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი პ. გ. ლუშევი. ჯარების საზეიმო მარში, თქვა მან, გახდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ჩვენი ხალხისადმი საბრძოლო პატაკი იმის შესახებ, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები მზად არიან ყოველ მომენტში ღირსეულად შეასრულონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა.

პარადის მონაწილეთა სახელით არმიის გენერალმა პ. გ. ლუშევმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას აღუთქვა, რომ საპარადო ჯგუფეულის პირადი შემადგენლობა მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარს იმას, რომ ღირსეულად გაამართლოს ნდობა, სანიმუშოდ შეასრულოს პასუხსაგები და საპატიო ამოცანა. (საქდესი).

## მინდორი — მანქანა — ვაგონი

**ამიერკავკასიის** მაგისტრალის თბილისის განყოფილებაში შეიქმნა საადრეო ბოსტნეულის გადაზიდვის ოპერატიული ხელმძღვანელობის სამუშაო ჯგუფი.

მარნეულისა და ბოლნისის რაიონების მშრომელებმა ეს-ესაა დაამთავრეს საადრეო ჯიშის კარტოფილის თესვა, რკინიგზელები კი უკვე ემზადებიან ახალი მოსავლის პროდუქციის გადასაზიდად. გასული წლების გამოცდილებისა და სასურსათო პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავდა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი.

ყველა სადგურს, საიდანაც საადრეო კარტოფილსა და კომბოსტოს გაგზავნიან ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში, სათანადოდ ამზადებენ. მაგალითად, მარნეულის სადგურში არემონტებენ ჩიხს, ბოლნისისაში კი ვაგონის სასწორს. სადახლოს, შულავერის, მარნეულის, ფოლადაურისა და ბოლნისის სადგურებში გაძლიერდა დატვირთვის ადგილების განათება.

საადრეო კარტოფილისა და კომბოსტოს მასობრივი გადაზიდვის პერიოდში მატარებლების შედგენის დაჩქარების მიზნით დამატებით იმუშავებს ორი სამანევრო თბომავალი, ხოლო გამგზავრებისა და გადასაზიდი დოკუმენტების გაფორმების დასაჩქარებლად სადგურის შტატს შეემატება რამდენიმე ტვირთის მიმღებ-ჩამბარებელი და სატვირთოს მოლარე.

პროდუქციის ხარისხის შესანარჩუნებლად და დანაკარგების თავიდან ასაცილებლად მისი გადაზიდვა განხორციელდება მეთოდით „მინდორი — მანქანა — ვაგონი". საადრეო კარტოფილითა და კომბოსტოთი დატვირთული მატარებლები იმოძრავებენ სამგზავრო მატარებლების სიჩქარით. (საქინფორმი).

# მამაშვილური დარიგება მომავალ მეომრებს

**30 აპრილს** გამართული გასაწვევი ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება, რომელიც დიადი გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა იმ ჭაბუკთა ცხოვრებაში, რომელთაც ხალხმა დაავალა იმსახურონ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში, მიანდო დაიცვან მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა, განაგრძონ შესანიშნავი ტრადიციები საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა, დიდება და სახელი რომ მოიხვეჭეს ვაჟკაცობითა და გამარჯვებით სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მეორე მსოფლიო ომის უდიდეს შეტაკებებში, რომლის ძლევამოსილი დამთავრების 40 წლისთავსაც აღნიშნავენ ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

შეკრების ტრიბუნიდან მომავალ მეომრებს მისცეს განაწესი მაღლა ატარონ ლენინის დროშა, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა, არ შებღალონ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სახელი და ღირსება.

მიმართა რა შეკრების მონაწილეებს და მათი სახით — რესპუბლიკის მთელ ახალგაზრდობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა:

**ძვირფასო** ამხანაგებო!

ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდა მეგობრებო!

ჩვენ აქ შევიკრიბეთ ღირსსახსოვარ დღეს და ღირსსახსოვარ ჟამს. დღეს ამ საზეიმო დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ ქვეყნისა და რესპუბლიკის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს აღვნიშნავთ ხოლმე, ერთდროულად შეხვედრაც გვაქვს და გაცილებაც: ვხვდებით გასაწვევ ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი ცხოვრება მიუძღვნან სამხედრო პროფესიას, და ამასთანავე ჯარში ვაცილებთ ახალწვეულებს.

რა შეიძლება იყოს თითოეული ახალგაზრდის ცხოვრებაში იმაზე უფრო საზეიმო და მნიშვნელოვანი, ვიდრე საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახური, ვიდრე წლები, რომელთა შესახებ ყოველ თქვენგანს შეუძლია თქვას: „მე ჩვენი დიადი სამშობლოს დამცველთა რიგებში ვიყავი!"

მენდეთ, ჩვენო ძვირფასო ყმაწვილებო — სანამ სამხედრო ფორმას ჩაიცვამდეთ, თავს ნებას მივცემ ასე მოგმართოთ, — მენდეთ, ეს დღე და ეს ჟამი ღირსსახსოვარია არა მარტო იმათთვის, ვისაც დღეს აცილებენ, არამედ იმათთვისაც, ვინც აცილებს. და დღეს ღელავთ არა მარტო თქვენ, არამედ ღელავენ თქვენზე უფროსებიც, ყველანი, ვინც ამ დარბაზში შეკრებილა. ეს იგრძნობა, ეს სახეზე ეტყობათ აქ მყოფ მუშებს, კოლმეურნეებს, ჩვენს ინტელიგენციას, სამხედრო მოსამსახურეებს, არმიის ვეტერანებს, ომისა და შრომის ვეტერანებს.

სანამ ამ დარბაზში მოვიდოდნენ, დარბაზში, სადაც თქვენ, შეიძლება ითქვას, გაცილებას გიწყობთ მთელი რესპუბლიკა, თქვენ გამოგაცილეს მშრომელთა კოლექტივებმა, სადაც მუშაობთ, სასწავლებლებმა, სადაც სწავლობთ. თქვენ გზა დაგილოცეს ამხანაგებმა, რომლებთანაც ერთად გიმუშავიათ, გისწავლიათ, თქვენმა ხელმძღვანელებმა, თქვენმა დამრიგებლებმა, აღმზრდელებმა, მასწავლებლებმა. და მათს სიტყვებში გამოსჭვიოდა არა მარტო სიამაყე, ასეთი რომ აღგზარდეს, არამედ მტკიცე რწმენაც, რომ თქვენ არ შეარცხვენთ მშობლიური კოლექტივის სახელს, თქვენი ამხანაგებისა და მეგობრების სახელს და ღირსებას.

აქედან გაემგზავრებით თქვენ ჯარის ნაწილებსა და სამხედრო სასწავლებლებში, სადაც მოგელიან ახალი მეგობრები, სადაც დაგხვდებიან ახალი აღმზრდელები, რომლებსაც შეიყვარებთ ისევე, როგორც იმათ, აქამდე რომ გყავდათ წარმოებასა და სკოლაში, და რომლებიც აგრეთვე მთელ სიცოცხლე გახსომებათ.

ბუნებრივია, თქვენ სამხედრო ეშელონამდე მიგაცილებენ მშობლები, ახლობლები... მენდეთ: თქვენი მშობლები განშორების სევდასთან ერთად განიცდიან უდიდეს სიამაყესაც იმის გამო, რომ დაზარდეს ასეთი შვილები — მამაცი, ძლიერი, ლამაზი, მგზნებარე პატრიოტები და ნამდვილი ინტერნაციონალისტები.

ამიერიდან თქვენიანებისათვის ყველაზე დიდი სიხარული იქნება ჯარიდან მოსული ამბავი: თქვენ, ნი თუნდაც მოკლე, მაგრამ ყოველთვის ნანატრი ბარათებით და წერილები. მეტი რა უნდა მშობლის გულს: იცოდეს, რომ საღ-სალამათი ჰყავხართ, რომ თავს კარგად გრძნობთ, ყველაფერი რიგზე გაქვთ და ერთგულად ეწევით სამსახურს.

განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა გვეუფლება ყველას, როდესაც ჯარის ნაწილიდან ან სამხედრო სასწავლებლიდან მოდის წერილები, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობა გამოირჩევა სანიმუშო დისციპლინით, ორგანიზებულობით, მხედრული მოვალეობის სანიმუშო შესრულებით, სამაგალითო ყოფაქცევით ყველგან და ყველაფერში. ერთი შეხედვით, თითქოს ეს ჩვეულებრივი, უბრალო სიტყვებია, მაგრამ ისინი განასახიერებენ ყოველივეს: მშობლის სიამაყეს, სკოლის, თქვენი მასწავლებლების, თქვენი ქარხნისა და კოლმეურნეობის სახელსა და ღირსებას, მთელი რესპუბლიკის სახელს და ღირსებას, თუ გნებავთ, ჩვენი პარტიული, სახელმწიფო, აღმზრდელობითი მუშაობის შეფასებას.

მაშ ისე იმსახურეთ, ჩემო ძვირფასებო, რომ ყველას ერთად გვეამაყოს თქვენი წარმატებებით, გვეხაროს თქვენი მიღწევებით! და ნიადაგ გახსოვდეთ, რომ მთელი საქართველო თქვენ შემოგყურებთ და ყურადღებით ადევნებს თვალს თქვენს წარმატებებს!

გასაწვევი ახალგაზრდობის ასეთი რესპუბლიკური შეკრებები, ასეთი საზეიმო კრებები, როგორიც დღევანდელია, კომუნისტური აღზრდის კარგი სკოლაა. და ეს შეხვედრები ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა.

ჩვენი დღევანდელი შეკრება მიმდინარეობს არა მარტო ღირსსახსოვარ დღეს, ღირსსახსოვარ ჟამს, არამედ ღირსსახსოვარ წელსაც, ჩვენი დიადი გამარჯვების 40 წლისთავის წელს.

დადგა ჩვენი მშვიდობიანი ომისშემდგომი ცხოვრების მე-40 გაზაფხული. მსოფლიოს ახსოვს საბჭოთა ჯარისკაცის, პატრიოტი მეომრის, განმათავისუფლებელი მეომრის, ინტერნაციონალისტი მეომრის გმირობა, ფაშისტური დამონებისაგან რომ იხსნა მსოფლიო.

გამარჯვების დღესასწაულის წინ ყოველ ჩვენგანს თვალწინ წარმოუდგება 1941 წლის ივნისის ის დღეები, ამჟამად უკვე შორეული და ამასთანავე ასეთი ახლობელი და სამახსოვრო დღეები, როდესაც პარტიის, კომკავშირის საუკეთესო ტრადიციების ერთგული ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ჩადგა მოქმედი არმიის რიგებში, ჩაეწერა პარტიზანულ რაზმებში, იცავდა საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ღირსებას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

და თითოეულმა მტკიცედ იცოდა: არ არის ამ ქვეყნად ძალა, რომელიც შეძლებს წაართვას ჩვენს ხალხს ყველაზე ძვირფასი და ყველაზე სანუკვარი, რაც კი რამ გააჩნია, — საბჭოთა ხელისუფლება, შეძლებს თავს მოგვახვიოს „ახალი წყობა". ჰიტლერმა და მისმა ხროვამ ხელყოფა დაუპირეს მშრომელი ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის უწმინდეს მონაპოვარს — თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ჩვენს სულიერ სიმდიდრეს, ჩვენს იდეოლოგიას, ჩვენს მიწა-წყალს.

ძვირად დაგვიჯდა გამარჯვება. იგი 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ფასად მოვიპოვეთ. მაგრამ არ იყო და არ არის ისეთი ძალა, რომელიც შეძლებს რაიმე დააკლოს ხალხის სულს. ჩვენს ახალგაზრდობას მკერდში უცემს პატრიოტთა — ერთგულ მამულიშვილთა მხურვალე გული. სწორედ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მტრისადმი შეურიგებელი კლასობრივი სიძულვილი გახდა ის შემმუსვრელი ძალა, რომელმაც ფაშიზმი გაანადგურა.

ბევრი სახელოვანი მამულიშვილი, მათ შორის საქართველოს მრავალი წარგზავნილი ვერ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან წმიდათაწმიდა საბჭოთა მიწა-წყალზე, მამა-პაპათა, წინაპართა მიწა-წყალზე, ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას, ოჯახს, დედებსა და შვილებს. ხოლო ომის წლების შვილები ახლა თავად გახდნენ მომავალი ჯარისკაცების — იმათი პაპები და მამები, ვისაც დღეს ვაცილებთ ჯარში.

ჩვენ წმინდად ვინახავთ ომის გმირთა ხსოვნას, მარად იცოცხლებს იგი ხალხში. მაგრამ არის გამორჩეული ხსოვნა — ხსოვნა ჯარისკაცული გულისა.

დღეს ამ დარბაზში გვესწრებიან ისინი, ვინც გამარჯვების დროშა გაატარა მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, კავკასიიდან, სტალინგრადიდან და ბრესტიდან ბერლინამდე. არადა, იმ დაუვიწყარ ივნისის დილას, წლის ყველაზე

(დასასრული მე-2 გვ.)

# რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ძალა

„**თუ ჩვენ** მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მიწას უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი და აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის,... უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს აგროსამრეწველო კომპლექსი ვმართოთ, დავგეგმოთ და დავაფინანსოთ როგორც ერთი მთლიანი ყველა დონეზე", — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის ამ დებულებამ განსაზღვრა გურჯაანის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკთა თათბირის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი და ხასიათი.

ეს თათბირი არა მარტო რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკების, არამედ რაიონის ყველა სოფლის მშრომელის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა.

თათბირმა საფუძვლიანად და ყოველმხრივ გააანალიზა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნის შემდეგ გასული დროის მანძილზე შეძენილი გამოცდილება, დასახა მომავალში საქმიანობის კონკრეტული გზები, რათა გაერთიანების მართვაც, დაგეგმვაც და დაფინანსებაც უფრო სრულყოფილი გახდეს და უფრო აქტიურად რაზმავდეს მშრომელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში მაღალი მიჯნების მისაღწევად.

თათბირზე ინფორმაცია გააკეთა გურჯაანის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ტ. დვალიშვილმა, გამოვიდნენ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჯანდიერი, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეები ვ. მაყაშვილი, ა. ოსკინოვი, ლ. ყაზაროვი, განყოფილებათა გამგეები ვ. მახარობლიშვილი, გ. ლაზარიაშვილი, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის გურჯაანის ღვინის ქარხნების გაერთიანების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დ. ლაღიძე, სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. მღებრიშვილი, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი დ. სარიშვილი.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა: რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ძალა ის არის, რომ მას მინიჭებული აქვს შემოქმედების, ინიციატივის, ადამიანებისა და მატერიალური რესურსებით ოპერატიული მანევრირების ფართო შესაძლებლობანი. ამას ისევ და ისევ ადასტურებს გურჯაანის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შემავალმა რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ იკისრა მთელი მართვა. ავტომანქანები, ტრაქტორები, კომბინირებული საკვები, საწვავი უშუალოდ მეურნეობებში მიაქვთ. მანქანა-ტრაქტორების პარკის შეკეთებისა და ექსპლოატაციის საწარმო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, მომარაგების ბაზები, რომლებიც თანასწორი უფლებებით შედიან რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში, ახორციელებენ სოფელ ერთიან პოლიტიკას — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ინტერესებისათვის.

აი რამდენიმე მაგალითი: რაიონში შეიქმნა მძიმე ტრაქტორების სპეციალური რაზმი მევენახეობაში ყველაზე შრომატევადი სამუშაოების შესასრულებლად. ამის მეოხებით მარშან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განხორციელდა პლანტაჟი 1.000 ჰექტარ ფართობზე, რაც ერთიორად მეტია, ვიდრე წინა წელს. ამის შედეგად შარშან შემოდგომაზე ახალი ვენახები გაშენდა 560 ჰექტარზე — მთელი წლების მანძილზე ყველაზე დიდ ფართობზე. დიდი სამუშაოები შესრულდა აგრეთვე ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. სამუშაოთა მაღალი ხარისხი უზრუნველყვეს მექანიზატორებმა, რამაც შესაძლებლობა მისცა რაიონის მეურნეობებს ამ გაზაფხულზე საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაემთავრებინათ ყველა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაო. შარშანდელზე სწრაფი ტემპით იწყება ახლა სამუშაოები ზვრებში, მინდვრებში, ბაღებში. გვახარებს მეცხოველეობაში მომხდარი ცვლილებებიც: გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით წელს წარმოებულია 200 ტონით მეტი რძე, სახელმწიფოს მიჰყიდეს შარშანდელზე 310 ტონით მეტი რძე. ოთხი ტონით გაიზარდა რძის დღიური ნაწველიც, გადიდდა პირუტყვის საშუალო სადღეღამისო წონა-მატება. წარმოებულია შარშანდელზე მეტი ხორცი და კვერცხი.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს მუშაობის ახალი მიმართულება გახდა შრომისა და ანაზღაურების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების,

(დასასრული მე-2 გვ.)

## დიადი ცხოვრების ქრონიკა

**ვ. ი. ლენინის** — გენიალური მოაზროვნის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აშუქებს მისი მეცნიერული ბიოგრაფია, რომლის მეორე ტომი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

მეშვიდე გამოცემის მომზადებისას ავტორებმა ტექსტში შეიტანეს მთელი რიგი დაზუსტებანი, შეავსეს ახალი ფაქტებით.

წიგნი მომზადდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. (საქდესი).

◆ ◆

## სსრ კავშირში ე. ჰონეკერის ვიზიტისათვის

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 1985 წლის 4 მაისს საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი.

# მამაშვილური დარიგება მომავალ მეომრებს

(დასასრული)

გრძელი დღის დილას, ჩვენი სახელოვანი ვეტერანები ზუსტად იმდენი წლისანი იყვნენ, რამდენისაც თქვენა ხართ დღეს, მათ ვაჟკაცურად გადაიტანეს ომის მთელი სიმძიმე. და გაიმარჯვეს კიდეც!

ამ რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა კავშირის გმირთა, სამი ხარისხის დიდების ორდენის კავალერთა ჯგუფს, ოფიცერთა უმაღლეს შემადგენლობას, ომის აქტიურ მონაწილეებს გადაეცათ სამშობლოს საპატიო ჯილდოები.

დაჯილდოებულთაგან ზოგიერთნი აქ არიან, ამ დარბაზში, ესწრებიან ჩვენს საზეიმო კრებას და დღეს თქვენთან ერთად, სამშობლოს მომავალ დამცველებთან ერთად ჩვენ კვლავ და კვლავ მივმართავთ ვეტერანებს გულითადი მადლიერების სიტყვებით იმისათვის, რაც მათ გამარჯვების მისაღწევად, დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად გაუკეთებიათ. ეს კი ჭეშმარიტად ფასდაუდებელია! უდიდესი მადლობა თქვენდა, ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენი ახალგაზრდობა ვეტერანთა თაობის ესტაფეტას იღებს. და სწორედ დღეს გვინდა, რომ ყოველი თქვენგანი მთელი არსებით მიხვდეს, რაოდენ საპატიო და პასუხსაგები საქმე გეკისრებათ. არაფერია იმაზე უფრო წმიდა მოვალეობა, ვიდრე იცავდე სამშობლოს, იცავდე ოქტომბრის მონაპოვარს.

ომის ამბავი თქვენ მხოლოდ უფროსების მონაყოლით, წიგნებიდან, კინოფილმებისა და ტელეგადაცემების მიხედვით იცით. ეს გასაგებიც არის. თქვენ მშვიდობიანი დროის თაობა ხართ. და პატარაობისას, როგორც ყველა ბავშვი, თქვენც თამაშობდით ომობანას, სადაც მუდამ „ჩვენები" იმარჯვებდნენ. მაგრამ ბავშვები დროთა განმავლობაში იზრდებიან, ჭაბუკები ვაჟკაცდებიან და თანდათან ეუფლებიან დაწყებითი სამხედრო, ჯარისგარეშე მომზადების კურსს, იძენენ სამხედრო სპეციალობას დ ო ს ა ა ფ-ის სკოლებში, და უკვე კარგად ხვდებიან, რომ ომი და სამხედრო სამსახური — ეს თამაში არ არის...

ჰკითხეთ თქვენს პაპებსა და მამებს, ჰკითხეთ ვეტერანებს — რა არის ომი, რა არის ჯარისკაცული სამსახური, და ისინი გეტყვიან — ეს არის ყველაზე მომთხოვნი, ყველაზე მკაცრი დამოკიდებულება ცხოვრებისა ადამიანისადმი და ადამიანისა — ცხოვრებისადმი.

რაც უფრო უკეთ შეისწავლით დიდი სამამულო ომის გამოცდილებას, რაც უფრო სრულად შეიგნებთ, როგორი შეიძლება იყოს თანამედროვე ომი, თუ იგი თავს მოგვახვიეს, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობით შეასრულებთ თქვენს მხედრულ მოვალეობას.

სასიხარულოა, რომ დღეს არმიას ემატება დიდად განათლებულ, ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღ, სულით ძლიერ ადამიანთა თაობა.

თქვენ მემკვიდრეობით მიიღეთ ამაღლებული თვისებები — მორალური და პოლიტიკური, — სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული, და ამიტომ დღეს მინდა, უწინარეს ყოვლისა, უღრმესი მადლობა მოვახსენო თქვენს დედ-მამას, კოლექტივებს, სადაც თქვენ გისწავლიათ და გიმუშავიათ და სადაც დაბრუნდებით დემობილიზაციის შემდეგ, არმიული ცხოვრების გამოცდილებითა და ტრადიციებით დაბრძენებულნი, მოვახსენო ჩვენი გულწრფელი მადლობა იმისათვის, რომ ასეთ ღირსეულ ადამიანებად აღგზარდეს. და ის სერიოზული წვევამდელი მომზადება, რომელიც თქვენ გაიარეთ, დაგეხმარებათ უფრო სწრაფად და წარმატებით შეეჩვიოთ არმიული ცხოვრების რიტმს, სამხედრო სასწავლებლის რეჟიმს, ჯარისკაცულ შრომას.

დღეს არმიაში რომ გაცილებთ, მინდა მამაშვილურად დაგარიგოთ: მხედრული სამსახური თითოეულისაგან მოითხოვს თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ოსტატურ ხმარებას, უსაზღვრო გულადობას, შეუპოვრობასა და ვაჟკაცობას, უდიდეს მორალურ ძალისხმევას. სიძნელენი ნუ შეგაშინებთ. სამსახური სამსახურია. იგი დაგეხმარებათ არა მარტო დაეუფლოთ სამხედრო პროფესიას, არამედ აგრეთვე შეიმეცნოთ ჯარისკაცული, ჭეშმარიტად ძმური ინტერნაციონალური მეგობრობის ძალა, შეიგრძნოთ თქვენი წილნაყარობა სამხედრო კოლექტივის — ჩვენი შეიარაღებული ძალების, იმ ძალების ნაწილისადმი, რომლებსაც ხალხმა მიანდო იცავდეს მის მშვიდობიან შრომასა და სიცოცხლეს.

მართლაც, რაოდენ ზუსტად და კარგად თქვა სამხედრო სამსახურზე ნოდარ დუმბაძემ, ჩვენმა დიდმა მწერალმა, ჩვენმა მეგობარმა: „ფორმას რომ ივვამს, თითქოს იმავდროულად კაცი „იმოსებაო" ორგანიზებულობით, ყოველგვარი სამუშაოს კეთების დაუოკებელი წადილით და რაღაც ჯავშნით, რომელიც არარად აგდებინებს მესაზღვრის ცხოვრების სიძნელეებს".

ეს ითქვა საზღვარზე სამსახურის შესახებ, ითქვა ბრძნულად, ვინაიდან ეს სიტყვები ეკუთვნის დიდსულოვან ადამიანს, ჩვენს მამულიშვილს, ახალგაზრდობის, ჭაბუკების ნამდვილ მეგობარს, რომელიც ზუსტად მიმხვდარა, რომ „საზღვარი, თუმცა უბრალოდ ქვეყნებს შორის საზღვარია, მაგრამ შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადაიქცეს მშვიდობისა და ომის საზღვრად".

სწორედ რომ ასეა: ნებისმიერ მომენტში, იმიტომ რომ დღეს ჩვენ შფოთიან, დაძაბულ დროში გვიხდება ცხოვრება.

ნუ ავარიდებთ თვალს იმას, რომ 40 წლის მშვიდობიანმა ცხოვრებამ ადამიანთა ერთ ნაწილს შორის წარმოშვა არხეინი განწყობილება, გარკვეული შეუფასებლობა რეალური საფრთხისა, რომელსაც იმპერიალიზმი, რეაქცია გვიქადიან. ჯერ კიდევ არიან ცალკეული ადამიანები, ცხოვრებისეული გამოცდილება, სათანადო პოლიტიკური წრთობა რომ არ გააჩნიათ და ომის საფრთხეს აღიქვამენ რაღაც აბსტრაქტულ, განყენებულ, დროით დაშორებულ ცნებად, და სრულად ვერ შეუგნიათ თავიანთი პირადი პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედ-იღბლისათვის.

ჩვენ სულაც არ მივიჩნევთ ბირთვულ ომს ფატალურ გარდაუვალობად. ჩვენ საღად, რეალურად ვაფასებთ თანამედროვე მსოფლიოში დაძაბულობის, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების საშიშროების დონეს, და ჩვენს ძალისხმევას ვწარმართავთ გამალებული შეიარაღების შემცირებისა და დაძაბულობის შენელების, საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებისათვის საბრძოლველად. ამას ისახავს მიზნად ჟენევის მოლაპარაკებაც. ამას ესწრაფვის მთელი ომის საწინააღმდეგო მოძრაობა. ეს კი ფრიად სერიოზული პოლიტიკური ძალაა, რომელსაც არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდნენ ჩვენი მტრები, იმპერიალისტები.

პარტია ნიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ განამტკიცოს ქვეყნის, მისი შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობა, თავდაცვითი ძლიერება, რომლებიც განსაკუთრებით წონადს ხდიან ჩვენს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

„ჩვენ კვლავაც არ დავიშურებთ ძალ-ღონეს იმისათვის, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — რომ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს ყოველივე აუცილებელი ჰქონდეთ, ჩვენი სამშობლოს, მისი მოკავშირეების დაცვისათვის, რომ ვერავინ ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს".

საერთაშორისო ვითარებაში შესაძლებელია გართულებანი, მოულოდნელი მოსახვევები. აი, რატომ გვმართებს ნიადაგ ფხიზლობა, გამოვიჩინოთ განსაკუთრებული ყურადღება, მუდამ მობილიზებული გვქონდეს ჩვენი სულიერი და მატერიალური ძალები.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ მშვიდობას საფრთხეს უქმნიან ამერიკის შეერთებული შტატების, მისი ნატოელი მოკავშირეების მილიტარისტული წრეები. შეერთებულ შტატებში ბავშვების შეგნებაც კი პარალიზებულია ბირთვული კატასტროფის შიშით. შემთხვევითი როდი იყო, რომ ერთმა ამერიკელმა ბიჭუნამ ამხანაგს, რომელმაც ჰკითხა, ვინ გინდა იყოო, დაუფიქრებლად უპასუხა: „ცოცხალი!".

ამ სიტყვებში განსაკუთრებული ძალით გამოიხატა მთელი კაცობრიობის მოთხოვნა შეუნარჩუნონ მას ძირითადი უფლება — სიცოცხლის უფლება.

და რაოდენ ცინიკურად გამოიყურება ამ ფონზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეიგანის გადაწყვეტილება მივიდეს ვერმახტის სამხედრო სასაფლაოზე, სადაც დაკრძალული არიან, კერძოდ ესესელები, რომლებიც ამერიკელ სამხედრო ტყვეებსაც მხეცურად სპობდნენ, და რომლებმაც მილიონობით ბავშვი დახოცეს. მთელი მსოფლიო აღაშფოთა პრეზიდენტის ამ განზრახვამ.

რეიგანის მიერ გამოცხადებული „ჯვაროსნული ლაშქრობა" საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ ჩასაფუშმად არის განწირული, ისევე როგორც ჰიტლერელ სტრატეგთა უდღეური ვარაუდები, რომ ბოლოს მოუღებდნენ საბჭოეთს.

გვინდა, ჩვენს ახალგაზრდობას ნათლად ესმოდეს, რომ არ კმარა მარტოოდენ გსურდეს დაიცვა მამული. უნდა შეგეძლოს მისი დაცვა, შეგეძლოს — პროფესიულად. სწორედ ამას გასწავლიან არმია და ფლოტი. ისინი დაგაუფლებენ სამშობლოს სამხედრო დაცვის მეცნიერებას, გასწავლიან, როგორ შეუნარჩუნოთ მშვიდობა ახლანდელ და მომავალ თაობებს.

ჩვენ, გაისმა შეკრების ტრიბუნიდან, ვიმყოფებით XXI საუკუნის ზღურბლზე, რომლის დადგომამდეც სულ 15 წელი დარჩა. ვინ იცის, 15 წლის შემდეგ იქნებ სწორედ აქ, ანდა კიდევ უფრო მეტნიერ, უფრო ვრცელ დარბაზში, გაზაფხულის ასეთსავე დღეს, პირველი მაისის დამდეგს, მოეწყოს ასეთივე საზეიმო შეკრება ჯარში ჭაბუკების გასაცილებლად. და ამ შეხვედრაზე შესაძლოა იყოს ზოგიერთი თქვენგანიც, მომავალი გენერალი და მარშალი. ვინ იცის? აკი უთქვამთ, „არ ვარგა ჯარისკაცი, რომელიც გენერლობას არ ნატრობსო". და სწორედ თქვენ გაცილებთ ახალ საუკუნის აბლწვეთ.

გზა დაგილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ერთგულად და პირნათლად ემსახურეთ მამულს, ამრავლეთ მისი ძალები, მისი ძლიერება, დაიცავით მშვიდობა დედამიწაზე.

თქვენ გლოცავთ სამშობლო, გლოცავთ მამული ჩვენი!

დამდეგ დღესასწაულს, პირველი მაისის დღესა და გამარჯვების დღეს გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

(საქინფორმი).

## პარტიული ცხოვრება: ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

# უცნაური საზომი

**— მეორე აგროგანყოფილება საუკეთესოა მეურნეობაში, რეჰანის მთლიანი მოსავლის 90 პროცენტამდე შარშან აქ დამზადდა, 80 ათას მანეთზე მეტი ფასდანამატიც აქაურების წყალობით მივიღეთ და, საინტერესოა, რად ვაკრიტიკებთ ახლა ასე მკაცრად მის ხელმძღვანელსო, გაიკვირვა ერთმა...**

**— მას, როგორც პიროვნებას და მეოჯახესაც წუნი არ დაედება, სხვებზე უკეთაც მუშაობს და, მართლაც, რას ვერჩით ამ ადამიანს, გასაკვირია, რატომ გახდა მისი საკითხი ასეთი საგანგებო მსჯელობის საგანი? — მხრები აიჩეჩა მეორემ...**

**— მე რომ შარშანდელ კრებას დავსწრებოდი, სხვანაირ გადაწყვეტილებას მივიღებდით, უთუოდ არადამაკმაყოფილებლად შევაფასებდით აგროგანყოფილების მმართველის მიერ გაწეულ მუშაობას, — სხვებისაგან აშკარად განსხვავებულ პოზიციას ადგა მეურნეობის დირექტორი...**

**მაინც** რამ გამოიწვია ცხაკაიას რაიონის კოლხიდის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის ამას წინათ გამართული ღია პარტიული კრების დაწყებამდე მისი მონაწილეების აზრთა ასეთი სხვადასხვაობა?

ვიდრე ამის შესახებ ვიტყოდეთ რამეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამბავი, რომლის შესახებაც იმსჯელეს ამ კრების მონაწილეებმა და რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, პრაქტიკულად შარშან დაიწყო. სწორედ 1984 წლის 30 ნოემბერს ამ საწარმოს ღია პარტიული კრების მონაწილეებმა მოისმინეს მეორე აგროგანყოფილების მმართველის, კომუნისტ ივლიანე დიხამინჯიას ანგარიში და დაამტკიცეს მისი პარტიული დახასიათება.

ი. დიხამინჯია ოც წელზე მეტია მუშაობს ამ საზოგადოებრივ მეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1982 წლიდან კი მეორე აგროგანყოფილების მმართველია. მან კრების მონაწილეებს მოკლედ მოუთხრო განყოფილების მშრომელთა საქმიანობაზე, თქვა, რომ მათ შეასრულეს სიმინდის, თივის, სილოსის, სენაჟის დამზადების გეგმები, განსაკუთრებით აღნიშნა მთავარი კულტურის — რეჰანის მოვლა-მოყვანის საქმეში მოპოვებული წარმატებები, გაკვრით ილაპარაკა თავის პიროვნულ ნაკლოვანებებზე და სათქმელიც ამით ამოწურა.

პარტბიუროს მდივანმა ე. ჩიქობავამ დადებითად დაახასიათა ი. დიხამინჯია, როგორც კარგი მუშაკი და მოქალაქე, პარტჯგუფორგი, პარტიულ დავალებებს თავის დროზე შემსრულებელი. ამასთანავე თქვა, რომ მან უნდა განამტკიცოს დადებითი თვისებები და მეტი იზრუნოს მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების გამოსწორების, განყოფილებაში დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. მას მხარი დაუჭირეს კრების სხვა მონაწილეებმაც, რომლებმაც ი. დიხამინჯია დაახასიათეს როგორც კარგი პიროვნება, ზოგადად (არავის არ უხსენებია თუნდაც ერთი კონკრეტული ფაქტი) ილაპარაკეს მის ნაკლოვან მხარეებზე... კრებამ დაადგინა, რომ ი. დიხამინჯიას ცხოვრებისა და მუშაობის წესი, მოქალაქეობრივი თვისებები უპასუხებს სკკპ წესდების მოთხოვნებს, დადებითად შეაფასა მის მიერ გაწეული საქმიანობა და დაამტკიცა მისივე პარტიული დახასიათება. მოკლედ, „მოისმინეს, დაადგინეს, კრება დარჩა მხიარულიო", მართლაც ისე გამოვიდა.

ეს განწყობილება და მიღებული დადგენილებაც ალბათ ბოლომდე დარჩებოდა ძალაში, რომ არა პარტიის ცხაკაიას რაიკომის სერიოზული ყურადღება და მომთხოვნელობა, რომელსაც იგი იჩენს ღია პარტიულ კრებაზე კომუნისტთა ანგარიშების მოსმენისა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცებისადმი. ამ კრებებს, როგორც წესი, სისტემატურად ესწრებიან პარტიის რაიკომის, მისი ბიუროს წევრები, რაიონული კომიტეტის წარმომადგენლები. გარდა ამისა, რაიკომის ბიურო თავის სხდომებზე პერიოდულად განიხილავს მათს მიმდინარეობას, აკონტროლებს, თუ რამდენად საქმიანი და გამიზნული იყო კრების მონაწილეთა მსჯელობა, მიღებული დადგენილებები, ყოველ ღონეს ხმარობს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეებში ფორმალიზმის აღსაკვეთად.

და აი, სწორედ პარტიის რაიკომის ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად ამ კრების მიმდინარეობის საკითხიც განიხილეს, გამოირკვა, რომ კომუნისტი ი. დიხამინჯია მისი ანგარიშის მოსმენისა და დახასიათების დამტკიცებისას არ იყო გულწრფელი, შეალამაზა საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა, ბოლომდე არ გამოიაშკარავებია აგროგანყოფილების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. კრება არ იყო სათანადოდ მომზადებული, მისმა მონაწილეებმაც არ გამოიჩინეს პრინციპულობა, თვალი მოუხუჭეს ხარვეზებს, პირუთვნელად არ მიუთითეს თავიანთ თანამოსაქმეებს მუშაობაში დაშვებულ შეცდომებზე, ერთობლივად არ დასახეს მდგომარეობის უთუოდ გამოსწორების, მომავალში წარმატებული გარჯის გზები და სხვ. კრების დადგენილებაც ლიბერალური გამოვიდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით პარტიის რაიკომის ბიურომ დაავალა საწარმოს პირველადს პარტორგანიზაციას ღია პარტიულ კრებაზე ხელახლა მოესმინა ი. დიხამინჯიას ანგარიში და დაემტკიცებინა მისი ობიექტური პარტიული დახასიათება.

ხელმეორედ გამართულ კრებაზე კი მართლაც ნათლად გამოიკვეთა აგროგანყოფილების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, ქრონიკული ხასიათის ჩავარდნები. აქ წლების მანძილზე არ სრულდება არამცთუ სოციალისტური ვალდებულებები, არამედ სახელმწიფო გეგმებიც კი. კერძოდ, 1983 წელს გათვალისწინებული თერთმეტი სახეობის ნაცვლად შესრულდა მხოლოდ სამი დასახელების სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმები. მდგომარეობა არც შარშან გამოსწორებულა — თორმეტიდან ასევე მხოლოდ სამ სახეობაში შესრულდა დავალება. აგროგანყოფილებაში სუსტია დისციპლინა, მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობა, დაბალია შრომის ნაყოფიერება. მასში შემავალი ორი საწარმოო ბრიგადის არც ერთ წევრს (მათ შორის კომუნისტებსაც) არ გამოუმუშავებია კაცდღეთა სავალდებულო მინიმუმი და ა. შ.

და ასეთი მაჩვენებლების ფონზე ი. დიხამინჯიამ შარშანდელ კრებაზე საკმაოდ დამაჯერებლად განაცხადა, რომ აგროგანყოფილებას „არა აქვს მთლად ცუდი შედეგები" (?!), კრებამაც თავის მხრივ, დასტური მისცა.

რა იყო ეს? მანკე თვითდამშვიდება, საკუთარი თავისა და სხვათა მოტყუების მცდელობა, ყველაფრისადმი გულგრილი კაცის მისწრაფება — ოღონდ კრება მალე დამთავრდეს, ოქმი გაფორმდეს და მოვრჩეთო, თუ კიდევ ბევრი სხვა რამე? მართლაც, ძნელია ზუსტად და ამომწურავად შეაფასო აქაურ კომუნისტთა ასეთი პოზიცია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია: ეს გახლავთ ნებისმიერი ცოცხალი საქმის უპირველესი მტერი — წმინდა წყლის ფორმალიზმი, რომელიც, როგორც ჩანს, აქ წლების მანძილზე იდგამდა ფესვებს და ახლაც საკმაოდ მყარად არის დაფუძნებული. უთუოდ სწორედ ფორმალიზმის, თვითდამშვიდების, უპრინციპო შემგუებლობის და დანაშაულობათა ხელშემწყობი სხვა მანკიერებების ნაყოფიც არის ის, რომ ბოლო წლების მანძილზე აქ ორჯერ მოხდა სახელმწიფო კანონიერების განსაკუთრებით უხეში დარღვევის, სახალხო დოვლათის ხელყოფის ფაქტები, რომელთა გამოც ბევრი აქაური პასუხისმგებელი მუშაკი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

მართალია, აქედან გარკვეული დასკვნები გამოტანილია, მეურნეობა-ქარხანაში ამ ბოლო ხანს მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, არის წინსვლის ნიშნები, მაგრამ თუ ვითარება რადიკალურად არ გარდაიქმნა, საეჭვოა აქაური კომუნისტების ასეთმა ლიბერალიზმმა, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლობამ დააჩქაროს ეს დადებითი ძვრები, შეუქცევადი გახადოს წინსვლის პროცესი...

ვუსმენდით კრების მონაწილეთა გამოსვლებს, ვადარებდით აგროგანყოფილების მიერ გაწეული მუშაობის ამსახველ ციფრობრივ მონაცემებს, ვადარებდით საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას შარშანდელი კრების დადგენილებასთან და თანდათან გვებადებოდა ივიანი კითხვა: საერთოდ შეისწავლა კი საკითხი შარშანდელი კრებისათვის კომუნისტ ი. დიხამინჯიას პარტიული დახასიათების პროექტის შესამუშავებლად გამოყოფილმა სამკაციანმა ჯგუფმა? ხოლო თუ შეისწავლა, რამდენად პირუთვნელი და ობიექტური იყო საბოლოო სურათი? თუმცა რომელ პირუთვნელობა-ობიექტურობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შარშანდელ კრებაზე თანამომხსენებელმა ი. დიხამინჯია შეაქო როგორც პარტჯგუფორგი, სინამდვილეში კი იგი აგიტატორი ყოფილა(?!), ხოლო კრების მონაწილეებმა მას კვლავ კვერი დაუკრეს.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. ამიტომაც იყო, რომ პარტიის რაიკომის ბიურომ, რომელმაც პრინციპულად შეაფასა შარშანდელი კრების მსვლელობა-გადაწყვეტილების სისწორე, მიზანშეწონილად მიიჩნია მისი ხელახლა მოწყობა. მაგრამ ზოგიერთი კომუნისტი არც ამ კრებაზე იყო ბოლომდე ობიექტური, სწორად ვერ განსაზღვრავდა მოვლენებს. აგროგანყოფილებაში შექმნილ ცუდ მდგომარეობას ისინი ძირითადად ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე ი. დიხამინჯიას ლმობიერებით ხსნიდნენ — კეთილი ბუნების გამო ვერ იჩენდაო ხელქვეითებისადმი მომთხოვნელობას. ყველაზე გასაკვირი კი მაინც მათი ის უცნაური საზომი გახლდათ, რომლითაც ისინი თავიანთი თანაპარტიელი ამხანაგის მიერ გაწეულ მუშაობას აფასებდნენ. მეურნეობაში სხვებზე უკეთ აშკარად კი მუშაობს და რას ვერჩითო. ბევრი ვერაფერი ობიექტური საზომია და, დარწმუნებული ვართ, ამგვარი „არშინის" გამოყენებაც არის აქ ასეთი არასახარბიელო შედეგების გამომწვევი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

შესაძლოა, ი. დიხამინჯია მართლაც შესანიშნავი მოქალაქე და საქმის ერთგული მუშაკი იყოს, მაგრამ მხოლოდ დადებითი პიროვნული თვისებები არ კმარა კომუნისტი ხელმძღვანელისათვის. როგორც კრებაზე წარმოჩნდა, მას აქვს სერიოზული ხარვეზები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქმის ჩავარდნა. და ვინ, თუ არა, უწინარესად, იქაური კომუნისტები მკაცრი, მაგრამ ობიექტური კრიტიკით, ამხანაგური მომთხოვნელობით, ყოველდღიური თანადგომით უნდა დახმარებოდნენ მას ნაკლის გამოსწორებაში? მათ კი ვერ შეძლეს ეს, რადგან, როგორც ჩანს, ამ ოცდაჩვიდმეტკაციან პირველადს პარტორგანიზაციაში და, საერთოდ, მთელს შრომით კოლექტივში არ არის შექმნილი პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის, ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის დაუოკებელი სწრაფვის, სამისო რეზერვების, გზებისა და საშუალებების მუდმივი ძიების ატმოსფერო. უამისოდ კი წინსვლა ძნელია...

საბოლოოდ კრებამ მაინც ობიექტურად შეაფასა კომუნისტ ი. დიხამინჯიას მიერ გაწეული მუშაობა. მან ცნობად მიიღო მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

კრებამ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა ი. დიხამინჯიას მიერ გაწეული მუშაობა, და სამსახურებრივი მოვალეობისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის, განყოფილებაში დისციპლინის შესუსტებისათვის გამოუცხადა მას საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. მანვე მდგომარეობის გამოსწორებისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა ჩააბაროს პარტიულ კრებას.

შარშანდელ კრებაზე ი. დიხამინჯიას პარტიული დახასიათების პროექტის მოსამზადებლად გამოყოფილი კომისიის წევრებს გ. ჯიქიას, რ. ბალუშვილს და რ. სარქისიანს არაობიექტური დოკუმენტის შედგენისათვის გამოეცხადათ საყვედური. ასეთივე სასჯელი მიეცა პარტბიუროს მდივანს ე. ჩიქობავას შარშანდელი კრების მოუმზადებლობისათვის...

ასე რომ, საბოლოოდ ობიექტური სურათი მაინც დაიხატა, მაგრამ კარგი იყო, ამაში პარტიის რაიკომის ბიუროს ჩარევა არ გამხდარიყო საჭირო.

რ. რუსია.

**1939 წლიდან თბილისის სართავი ფაბრიკის ბაზაზე არსებობს № 28 პროფტექნიკური სასწავლებელი. რესპუბლიკის ეს ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელი ყოველწლიურად ორასზე მეტ მრთველს, მქსოველსა და მკერავს უშვებს.**

**№ 28 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი მარინე სიდამონიძე სულ 21 წლისაა. 1979 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის მე-12 საშუალო სკოლა, იმავე წელს შევიდა № 36 პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომლის კურსიც ფრიადზე დაასრულა და მრთველად დაიწყო მუშაობა თბილისის კამვოლის ფაბრიკაში. 1980 წელს თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში შევიდა, რომელიც 1983 წელს დაამთავრა, და საწარმოო სწავლების ოსტატად დაიწყო მუშაობა № 28 პროფტექნიკურ სასწავლებელში.**

სურათებზე: მარინე სიდამონიძე (ცენტრში) საწარმოო პრაქტიკაზე ახლავს სასწავლებლის მოსწავლეებს ნესტან კენჭოშვილს და შორენა ლერყენაშვილს; № 28 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკაზე თბილისის სართავი ფაბრიკის სართავ საამქროში (წინა პლანზე — ნინო აფციაური).

ა. სააკოვის ფოტო.

## საბჭოთა მშენებლობა

# ანგარიშს აბარებს აღმასკომი

**გადაწყდა** ანგარიშები სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საქმიანობის სხვადასხვა მხარის შესახებ მოისმინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად მოისმინეს თერჯოლის რაიაღმასკომის ანგარიში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის XIV პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და მითითებების შესრულების შესახებ.

„...თერჯოლის რაიონის ყველა მეურნეობა როდია რენტაბელური, სერიოზული ჩამორჩენა შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საზოგადოებრივი სექტორის განვითარებაში", — აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. რა შეიცვალა ამის შემდეგ? რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რაიონში გარკვეული მუშაობა წარმოებს საზოგადოებრივ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, მეურნეობების რენტაბელობის გაზრდისათვის. აღმასკომი თავის სხდომებზე რეგულარულად იხილავს საწარმოო, სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების აქტუალურ საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები და მათი რეალიზაციის ამოცანები განიხილეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და პარტიის თერჯოლის რაიკომის ბიუროს გაერთიანებულ სხდომაზე, შემდეგ კი პარტიულ-სამეურნეო აქტივის რაიონულ კრებაზე, რომლებზეც დაამტკიცეს საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა კომპლექსი.

ამის შედეგად საგრძნობი წარმატებებია მიღწეული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. მაგალითად, 1984 წელს ბოსტნეულის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 1982 წელთან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით, ყურძნისა — 21,7 ცენტნერით, ჩაის ფოთლისა — 4,6 ცენტნერით.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობამ შარშან შეადგინა 8568 ათასი მანეთი, ანუ 1787 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1982 წელს. კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი. რაიონის მეურნეობებმა 2617 ათასი მანეთი მოგება მიიღეს, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ კი 156 ათასი მანეთი ზარალი ჰქონდათ, რენტაბელობამ მიაღწია 20,5 პროცენტს გეგმით გათვალისწინებული 16,6 პროცენტის ნაცვლად.

ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნა პრეზიდიუმის სხდომაზე, თერჯოლის რაიონის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმად ვერ სწვდებიან სახალხო მეურნეობის პერსპექტიული განვითარების პრობლემებს და მისი ცალკეული დარგების ჩამორჩენის მიზეზებს, იშვიათად იხილავენ წარმოების შემდგომი ზრდის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საკითხებს. მთლიანად ვერ იყენებენ აქ შიდასამეურნეო რეზერვებსაც, მცირეა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, დიდია პროდუქციის თვითღირებულება. კერძოდ, 1984 წელს 17-დან 6-მა მეურნეობამ ვერ შეასრულა მარცვლეულის წარმოების გეგმა, 15-დან 9 მეურნეობამ — ყურძნისა. სერიოზული ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა თერჯოლის რაიაღმასკომს შეიმუშაოს და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედისათვის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების უთუოდ შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე უნდა მიაღწიონ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ყველა დარგის დინამიკურ განვითარებას, მათი რენტაბელობისა და ეფექტიანობის გაზრდას. (საქინფორმი).

# რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ძალა

(დასასრული)

კერძოდ, ბრიგადული იჯარის დანერგვა. პრაქტიკამ ცხადყო, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების რაოდენ ქმედითი ფორმაა იჯარა. შარშან საიჯარო ბრიგადებმა და რგოლებმა მოიწიეს 1,5-ჯერ მეტი მოსავალი, ვიდრე ჩვეულებრივმა კოლექტივებმა და, რაც ერთობ მნიშვნელოვანია, ამასთან შეამცირეს ცენტნერი პროდუქციის წარმოების თვითღირებულება. ამჟამად რაიონის მევენახეობაში შეიქმნა 22 ბრიგადა და 58 რგოლი, რომლებმაც აითვისეს ბრიგადული იჯარა. მუშაობის ახალ ფორმაზე გადადიან აგრეთვე მექანიზატორები, მებოსტნეები.

თათბირზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ გურჯაანის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ ერთ-ერთი მოწინავე იყოს რესპუბლიკაში. ამავე დროს აქ ჯერ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ იმ მართლაც რომ ულევ წყაროს, რომელსაც შეიცავს აგროსამრეწველო გაერთიანების თვით არსი. კერძოდ, მოგვარებული არ არის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ყველა ქვეგანაყოფის ურთიერთმოქმედების ზუსტი სისტემა. გაერთიანების საბჭომ განსაკუთრებული კონტროლი არ დაუწესა ისეთ სუსტ უბნებს, როგორიც არის არარენტაბელური მეურნეობების აყვანა ისეთი მოწინავე მეურნეობების დონემდე, როგორიც არის, მაგალითად, სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობა. რით აიხსნება ის გარემოება, რომ კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, მიუხედავად რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისაგან მიღებული ფინანსური დახმარებისა, გასული წელი დაამთავრა თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი წაგებით? ანდა ავიღოთ სოფელ მაშნაანის კოლმეურნეობა, რომლის ვალი სახელმწიფოს წინაშე ოთხ მილიონ მანეთს მიუახლოვდა.

ყოველივე ამის შედეგად ჩამორჩენილ მეურნეობებში ცენტნერი ყურძენი უაღრესად ძვირი — 48-50 მანეთი ჯდება. ამან, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა მთლიანად რაიონის მაჩვენებლებზეც, სადაც ცენტნერი ყურძნის თვითღირებულებამ შარშან გეგმით გათვალისწინებული 35,3 მანეთის ნაცვლად 38 მანეთი შეადგინა.

შრომის ნაყოფიერების გადიდება, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, ორგანულად არის დაკავშირებული მეურნეობრიობის ფართო წრის პრობლემების გადაწყვეტასთან. რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა უფრო საგნობრივად უნდა მოჰკიდონ ხელი პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას, ინდუსტრიულ საფუძველზე რაიონისათვის ისეთი მაღალშემოსავლიანი დარგების გადაყვანას, როგორიც არის მევენახეობა და მეცხოველეობა. ამოცანა ის არის, რომ უკვე 1990 წლისათვის ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობა საშუალოდ რაიონში 85 ცენტნერამდე გაიზარდოს. ასეთი მაღალი მიჯნების მისაღწევად უნდა გავაუმჯობესოთ სანერგე მეურნეობების მუშაობა, მოვაგვაროთ წარმოების მუშაკებისა და სელექციონერების მჭიდრო ურთიერთმოქმედება, ფართოდ გამოვიყენოთ დაავადებებისა და მავნებლებისაგან, სეტყვისაგან ვაზის დაცვის მეთოდები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ვენახის ბოძებზე მეურნეობათა მოთხოვნილებების უზრუნველყოფაც. თანაც მათი წარმოება ადგილებზე უნდა მოვაგვაროთ.

ერთ-ერთი რეზერვი, რომელიც უნდა აამოქმედოს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭომ, არის სახელმწიფო, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის საყოველთაო განმტკიცება. ეს განსაკუთრებით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა.

ეკონომიკური პოლიტიკის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ზრუნვა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი წარმოების სტაბილური ზრდისათვის სასურსათო პროგრამის შესასრულებლად, მოითხოვა თათბირმა.

თათბირზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების კადრებთან მუშაობის ძირეული გაუმჯობესების საკითხს, განსაკუთრებით საშუალო რგოლის მუშაკთა მომზადების საქმეში.

საჭიროა აგრეთვე შევიმუშაოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური სისტემა, მივაღწიოთ, რომ ყველაზე მძლავრ მეურნეობებს ჰქონდეთ თავიანთი გადამამუშავებელი საწარმოები, რომ ისინი ახორციელებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთელ კომპლექსს.

უფრო გაბედულად უნდა ვიაროთ ეკონომიკურად დასაბუთებული ექსპერიმენტების გზით. ამ მხრივ თათბირზე მაღალი შეფასება მიეცა სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობაში მიმდინარე ექსპერიმენტს, რომლის მიზანია როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სექტორში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ერთიანი მაჩვენებლების განსაზღვრა, სამრეწველო საფუძველზე პირადი დამხმარე მეურნეობების გადაყვანა, შრომითი რესურსების გამოთავისუფლების, მექანიზაციის ამაღლებისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების გზით წარმოების დამატებითი ზრდის უზრუნველყოფა.

თათბირის მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ რაიონის მშრომელები ღირსეულად შეასრულებენ წლის ყველა გეგმასა და ვალდებულებას, მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან შემდგომ წინსვლას, ახალი ხუთწლედის ამოცანათა შესრულებას. (საქინფორმი).

# შრომა მთავარი გაკვეთილია

## სასკოლო რეფორმა მოქმედებს

**იმ დღეს** თბილისის სპორტის სასახლესთან გაშლილი უჩვეულო სანახაობის მოწმე იყო: სასახლის ეზოში სახელდახელოდ გამართულ დახლებსა და მაგიდებზე გამოეფინათ ნაჭრის თოჯინები, ათასნაირი ნაქარგი და ნაქსოვი, ლამაზი კაბები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ხისგან გამოთლილი საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, კერამიკა, ყვავილების თაიგულივით ნაირფერი ტორტები და სხვა. იქვე ორკესტრი უკრავდა, მოშორებით ცეკვა გაეჩაღებინათ, შემაღლებულ ადგილზე გოგონები გიტარაზე მღეროდნენ. ეს ნორჩი მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები—საბურთალოს რაიონის სკოლების მოსწავლეები გამოფენა-ბაზრობაზე იწვევდნენ ყველას. ნაკეთობათა ავტორებიც — ყმაწვილები იქვე დახლებთან თუ მაგიდებთან ჩამდგარიყვნენ. მათ შორის დინჯად მიმოდიოდნენ მასწავლებლები.

ყველაფერს საზეიმო იერი ჰქონდა. ვინ მოსწავლის წინსაფარს იზომებდა, ვის თოჯინისათვის ჩაევლო ხელი, ვინ გაფაციცებით ნამცხვრების რეცეპტს იწერდა. ყმაწვილები ხალისიანად, ერთგვარი სიამაყითაც ემსახურებოდნენ ყველას. დღის ბოლოსთვის მოსწავლეებმა შემოსული 3 ათას მანეთი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალისა და მშვიდობის ფონდში ჩარიცხეს.

სკოლებისა და საბაზო ორგანიზაციების კარგი თანამშრომლობის შედეგად ასეთმა გამოფენა-ბაზრობებმა ქალაქში უკვე მოიკიდა ფეხი, რაც იმის დასტურია, რომ სასკოლო რეფორმა მოქმედებს, ცოცხლობს და ხორცს ისხამს.

უკვე იკვეთება მომავლის კონტურები, ისახება ს კ ო ლ ი ს გარდაქმნის გზები. **სწორედ სკოლებისა და საბაზო ორგანიზაციების ურთიერთობის ერთგვარი გაგრძელება იყო თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ გამართული რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი სწავლების პედაგოგთა თეორიული კონფერენცია.**

მისი თემა გახლდათ: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესახებ" მიხედვით, საბურთალოს რაიონის სკოლების მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, საზოგადოებრივად სასარგებლო და მატერიალური შრომის გაუმჯობესების საქმეში სახალხო განათლების მუშაკთა და შრომითი კოლექტივების ერთობლივი მუშაობის შესახებ". დარბაზში იყვნენ რაიონის სკოლების შეფები და საბაზო ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც. ამ კონფერენციის გაგრძელება გახლდათ ის გამოფენა-ბაზრობაც, სპორტის სასახლესთან რომ გაიმართა.

კონფერენციაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის თბილისის საბურთალოს რაიკომის მეორე მდივანმა შ. დოლიძემ, მოხსენება გააკეთა რაიონის სახალხო განათლების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორმა გ. გურგენიძემ. გამოვიდნენ მე-17 საშუალო სკოლის შრომითი სწავლების პედაგოგი გ. თოდუა, საინსტრუმენტო ქარხნის სპეცინსტრუმენტის უბნის უფროსი ოსტატი ნ. მიქაძე, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" კადრების მომზადების უფროსი ინჟინერი ნ. ადეიშვილი, №1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში მ. გვილავა, 161-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. თოფურია და 64-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. ჩილ-აკოფოვი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ შრომითი სწავლების გაუმჯობესებით საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა დაინტერესება მუშური პროფესიებით.

სკოლებსა და საბაზო ორგანიზაციებს შორის 1985-1990 წლებისათვის ერთობლივი მუშაობის შესახებ გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულებები. პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას უკვე შეუდგნენ, რაიონის ყველა სკოლის დაწყებით კლასში შრომითი სწავლებისათვის გაიხსნა კლასკაბინეტები ან ცალკე კაბინეტები. ახალი სასწავლო წლიდან რაიონის 4 სკოლაში შემოიღეს გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამირების სწავლება.

პრაქტიკაში დაინერგა საბაზო ორგანიზაციებისა და სკოლების დირექტორების ანგარიშების მოსმენა აღმასკომის სხდომებზე. რაიაბჭოს აღმასკომმა შეისწავლა და განიხილა საბაზო ორგანიზაციების მუშაობა რეფორმის განხორციელების ეტაპობრივი გეგმის შესრულებისათვის, ხოლო განათლების საბჭომ— სკოლის დირექტორების ანგარიშები. აღნიშნულ საკითხს მალე განიხილავს პარტიის რაიკომის ბიურო.

ერთ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა IX-X კლასელთა მწარმოებლურ შრომაში ჩასაბმელად. დღეისათვის რაიონის სკოლებში 2042 უფროსკლასელი სწავლობს, მათი ნახევარი შრომითს სწავლებას გადის საბაზო საწარმოებში, ან მათ მიერ სკოლებში მოწყობილ სასწავლო სახელოსნოებში. მომავალი სასწავლო წლისათვის სამუშაო ადგილების რაოდენობა ათას ერთეულს გადააჭარბებს.

ამ დღეებში, პირველად რესპუბლიკაში, რაიონის 62-ე სკოლისა და საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" მაგალითზე, რესპუბლიკის განათლებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები მიიღებენ ერთობლივ დადგენილებას მოსწავლეთა ძალებით სასკოლო ფაბრიკის შექმნის შესახებ. სასკოლო მეურნეობის მსგავსად, აქაც ხელმძღვანელ პოსტებზე მოსწავლეები იქნებიან. საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" გენერალური დირექტორი თ. პატარიძე, რომლის დახმარებითაც 1979 წელს, პირველად რესპუბლიკაში, 62-ე საშუალო სკოლაში სამკერვალო საამქრო მოეწყო, ახლაც პირველი სასკოლო ფაბრიკის შექმნის მოთავეა.

კონფერენციაზე აღინიშნა ისიც, რომ ზოგიერთი საწარმო ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება სკოლის რეფორმის პრობლემებს.

აქ ქებით მოიხსენიეს საბაზო ორგანიზაციები: საქსოფრუმონტის დიღმის ქარხანა, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, თბილგაზის სამმართველო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა", საინსტრუმენტო ქარხანა და სხვები, რომელთა ხელმძღვანელობა, კოლექტივები ცდას არ აკლებენ, რომ ყმაწვილებს შეუქმნან სათანადო პირობები და ასწავლონ, შეაყვარონ შრომა.

გაუმჯობესდა და უ ფ რ ო ორგანიზებული გახდა ახლად კურსდამთავრებულთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმა. შარშან, მაგალითად, ნაცვლად 319 კურსდამთავრებულის ნაცვლად, შრომაში ჩაება 460 ახალგაზრდა. ამ მაჩვენებლით საბურთალოს რაიონმა, დედაქალაქის რაიონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

აი, ასეთ წარმატებებზე იყო საუბარი კონფერენციაზე, რომელმაც დასახა სამომავლო მუშაობის ორიენტირები და მიიღო რეკომენდაციები.

ბ. დურგლიშვილი.

# საკუთარი გზის მიგნება

## მოსკოვური გასტროლები

**სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრი პირველად ჩამოვიდა მოსკოვში. თეატრისათვის, რომელიც ასი წლისაა და თავისი ისტორია აფხაზეთის დედაქალაქში პირველი სამოყვარულო სპექტაკლებით დაიწყო, ეს დიდად საზეიმო მოვლენაა.**

**თეატრმა** მოსკოვში ჩამოიტანა ექვსი სპექტაკლი. ოთხი მთავარი რეჟისორის ნამუშევარია — მ. ბუზნიკის „რიცხვები“, ა. ჩხაიძის „მიღების დღე“, ა. კორნეიჩუკის „ფრონტი“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, აგრეთვე ნ. დუმბაძის რომანის „მარადისობის კანონის“ ინსცენირება (რეჟისორი — გ. ჟორდანია) და შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ (ეს ბოლო სპექტაკლი განსვენებულ დიმიტრი ალექსიძეს ეკუთვნის, რომელიც საგანგებოდ შეილოკ-გ. ქავთარაძისათვის ჰქონდა გათვალისწინებული).

სოხუმელებმა ზუსტად შეარჩიეს სპექტაკლი გასტროლის გასახსნელად. „მარადისობის კანონში“ ჩვენ პრაქტიკულად მთელი დასი ვნახეთ. გ. ჟორდანია კალეიდოსკოპურად ურწყავს წარსულის სურათებს აწმყოს და თვით მომავალსაც, და ცდილობს მკაცრ სცენურ კონსტრუქციაში მოაქციოს მდიდარი ცხოვრებისეული სიტუაციები და შეხვედრები, უაზრო სიკვდილი, არამზადობის ლოგიკა. თანამედროვე ქართული ცხოვრების ფერადოვანი ფრესკა თითქოს თავისთავად, სტიქიურად იბადება, მაგრამ მხატვარი ი. გეგეშიძე მას თეატრალურ მოცულობაში — სცენის თეთრ, თითქმის ცარიელ კოლოფში მოაქცევს, სადაც მხოლოდ მოხაზულია ფერები, ყოფითი ნიშნები და დროის რეალიები. ამ სივრცეს მსახიობები ავსებენ და ათბობენ.

განვითარების კვალობაზე სპექტაკლი ეპიკური სტილის ნიშანთვისებებს იძენს. იუმორისტული ეპიზოდები ორგანულად გადადის დრამატულში, მომდევნო სცენაში ტრაგიკულს სცვლის ფარსი, კარიკატურული ტიპაჟი (ნ. ქაროსანიძე, თ. ბოლქვაძე, დ. გაჩეჩილაძე, ი. კალანდაძე, ჯ. ჯანდიერი) წარმოგვიდგება ლირიკულ ნოველებში ბაჩანასთვის ძვირფას ვერელ ბიჭებზე, გიჟ მარგოზე (ზ. დვალიშვილი), ქურდ ვახო ამბოკაძეზე (დ. ჯაიანი); კეთილი მედდა ქენია (თ. ბაბლიძე) წამდაუწუმ აბრუნებს გმირს ციდან დედამიწაზე: ინფარქტთან, საავადმყოფოსთან, ნემსებთან. და იწყება ბაჩანას არსებობის ახალი მონაკვეთი — მისი ფილოსოფიური კამათი თანაპალატელებთან, მამა იორამთან (მ. ჩუბინიძე), ხარაზ ბულიკასთან (ო. ელერდაშვილი) და თვით ღმერთთან (ვ. არგვლიანი), რომელიც დაესიზმრება. ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა მთელ ამ მრავალფეროვნებას თავს უყრის მთავარი გმირის სახე, რომელსაც ჩინებულად ასრულებენ გ. სირაძე (ახალგაზრდობაში) და გ. ქავთარაძე. ამ პირველსავე ნამუშევარში გამოვლინდა თეატრის აქტიური სურვილი იმისა, რომ მაყურებელში უწინარეს ყოვლისა თანამოსაუბრეს ხედავდეს.

გასტროლის მეორე სპექტაკლის — მ. ბუზნიკის „რიცხვების“ ცენტრშიც ძლიერი, ნიჭიერი ადამიანები არიან. ესენი გახლავან გემთსაშენებელი ქარხნის დირექტორი ცომაია (ნ. ბექაური) და მთავარი გემთმშენებელი ლიკინი (ვ. არგვლიანი). ორი პატიოსანი მშრომელი, რომლებიც ფიცივით შეუკრავს მოწოდებას, იმ გემების სიყვარულს, რომლებსაც აშენებენ. პირველი მკაცრი, მიზანსწრაფული ადმინისტრატორია, მეორე — კონსტრუქტორის ჭკუისა და ინტუიციის განსახიერება. მსახიობები ფსიქოლოგიური ნიუანსებით აფერადოვნებენ ამ ხასიათებს, მაგრამ ვაი რომ, სულს ვერ შთაბერავენ მათ შორის მოგონილ კონფლიქტს. პიესა იძირება, როგორც იმ სავალალო გემის ბანი, რომელიც უნდა ჩაუშვან, მაგრამ ვერ ჩაუშვებენ წყალში პროექტის სასწრაფოდ შეცვლის გამო. ცომაია გრაფიკის დაცვას მოითხოვს, კოსმონავტების (ხომალდი კოსმოსური კვლევისთვის არის გათვალისწინებული) წინაშე პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობს, მიწასთან ასწორებს თანაშემწეებს დოყლაპიობისათვის, მაგრამ ლიკინს და სხვებსაც დამაჯერებელი კონტრარგუმენტები მოჰყავთ უშუალოდ აწყობის თაობაზე. საბოლოოდ „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ ფიცხად დავობს ვადებისა და „თარიღების“ შესახებ, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. სხვათა შორის ნასროლი ფრაზა იმის შესახებ, რომ „ჩვენ სხვის ტვინზე ვართ დამოკიდებული“, ჰაერში გადმოეკიდება, როგორც შეხსენება რაღაც მრისხანე, არამიწიერი, არაპერსონიფიცირებული ძალის შესახებ, რომელიც მუშაობას უშლის ამ ადამიანებს. დრამატურგი ძაბავს ერთმანეთში შერწყმულ გარემოებებსა და შემთხვევითობებს, რომლებიც საეჭვოს ხდიან შეკვეთის დროულად შესრულებას, რათა შემდეგ სასწაულებრივად გაჩეხოს ეს გორდიას კვანძი და ღაღადჰყოს ორი უდაო, მაგრამ თეატრალურ დამაჯერებლობას მოკლებული ჭეშმარიტება: მინისტრის ბრძანებები განუხრელად უნდა სრულდებოდეს, გემები კი იმათ უნდა აშენონ, ვისაც მათი „ესმის“. გასაგებია, რომ დრამატურგი გაიტაცა კონკრეტულმა, ცოცხალმა ადამიანებმა, პერსონაჟების პირველსახეებმა. ჩვენ ეს ადამიანები პრემიერაზე ვნახეთ და შეგვიძლია ვირწმუნოთ, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პრობლემების, საწარმოო კოლიზიების შესახებ თანამედროვე თეატრი უფრო მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე უნდა მეტყველებდეს.

ა. კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“, ერთი შეხედვით, ისტორიას უფრო ეკუთვნის, ვიდრე თანამედროვეობას. მაგრამ გ. ქავთარაძემ შეძლო საწინააღმდეგო აზრი დაემტკიცებინა. იგი პიესაში გამოჰყოფს მთავარს — ორი ტიპის ომისდროინდელი ხელმძღვანელის კონფლიქტს; ერთი მათგანია ფრონტის სარდალი ივანე გორლოვი (მსახიობი — ს. პაჭკორია) ძველი ყაიდის კაცი, მეორე — ვლადიმერ ოგნევი (დ. ჯაიანი) გულმხურვალე, ნიჭიერი მხედართმთავარი, რომელიც ამასთანავე მოკლებული არ არის ადამიანურ სისუსტეებს. რეჟისორი მათ სცენის ცარიელ სივრცეში უპირისპირებს ერთმანეთს, თითქოს სადუელო პისტოლეტებით, იმ მებრძოლთა თანდასწრებით, რომლებიც ალექსანდროვკასთან დაიღუპნენ ფრონტის სარდლის მიზეზით. მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგიაში ცნობილი ამ კონფლიქტის ბოლო თავიდანვე გასაგებია, სპექტაკლი გხიბლავს მთავარი მოქმედი პირების ფსიქოლოგიურად კარგად დამუშავებული ხასიათებით, ჰეროიკული ინტონაციის ბუნებრივი ჟღერადობით. ერთადერთი, რისი აღქმაც ჭირს, ეს გახლავთ სურათებს შორის პანტომიმური, მუსიკალური ჩანართები (ბალეტმაისტერი — გ. ალექსიძე), რომლებიც მოქმედებას რაღაც „მემორიალურობას“ ანიჭებს.

შექსპირის „ვენეციელი ვაჭრისადმი“ მაყურებლის ინტერესს უკვე თავისთავად განსაზღვრავს აფიშაზე მისი გამოჩენა. პიესას პრაქტიკულად სასცენო ისტორია არა აქვს ჩვენს ქვეყანაში. დ. ალექსიძის სპექტაკლი კი, თუნდაც ესკიზურად, მის მომავალ ბედს წარმოგვისახავს. ეს რენესანსული კომედია ფერადოვანია, როგორც ვენეციური კარნავალი, და ასევე მხიარულია. ეს გამოცანა-პიესა, რომელიც უშუალო პასუხს არ იძლევა დასმულ კითხვებზე, აღსავსეა წინააღმდეგობრივი პერსონაჟებით. შეყვარებულების — ჯესიკისა (ლ. ხურიტი) და ლორენცოს (გ. სირაძე), პორციისა (ზ. დვალიშვილი) და ბასანიოს (დ. ჯაიანი) ამბავი დამდგმელს თითქოს არც კი აინტერესებს. დ. ალექსიძე მეორეხარისხოვან ყურადღებას უთმობს გრძნობებსა და სიყვარულს, მხოლოდ გადაკვრით თუ გაგრძნობინებს, რომ შექსპირის პერსონაჟებში უგონო ვნება შერწყმულია გონივრულ პრაქტიციზმთან, და სცენური კომპოზიციის ცენტრში მოაქცევს შეილოკს, რომელიც ოცნებობს დაიკმაყოფილოს შელახული თავმოყვარეობა და შური იძიოს კეთილშობილ ვაჭარ ანტონიოსზე მისი უანგარობისათვის. ეს ორთაბრძოლა კარგად აქვს დახვეწილი გ. ქავთარაძეს, რომელმაც რამდენადმე გროტესკულ, ავბედით პლასტიკას მიაგნო თავისი გმირისათვის, და მას მხარში ამოუდგა ს. პაჭკორიაც, რომელმაც შეძლო დაეძლია ანტონიოს ხასიათის სქემატიზმი. პიესის კოლიზიების ამგვარი გამკაცრება ვინმეს შეიძლება სადავოდაც მოეჩვენოს, მაგრამ იგი ლოგიკურია. დასანანია, რომ იგი მაინც არ არის მიყვანილი ჰარმონიულ დასასრულამდე: რეჟისორი ცდილობს სიუჟეტის პერიფერიაზე ყოველივე ნანახი შეინარჩუნოს ვენეციური კარნავალის მუსიკისა და ცეკვების სტიქიაში (კომპოზიტორი — ს. ცინცაძე. ბალეტმაისტერი გ. ალექსიძე), და ეს ხელს უშლის მაყურებელს კარგად გაერკვეს აქტიორების მიერ ჩინებულად წარმოდგენილ და გადაწყვეტილ კონფლიქტში.

თუ შეილოკის როლში მაქსიმალურად სრულად გამოვლინდა ქავთარაძე — მსახიობი, კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ ინსცენირებაში მან განსაკუთრებით ჰარმონიულად წარმოაჩინა თავისი რეჟისორული ტალანტი. გიორგი მეორის მმართველობის ქრონიკას რეჟისორი შექსპირული გაქანებით, ვნებათაღელვით, ტრაგიკული ხასიათების შეხლით წარმოგვიდგენს. თუ „მარადისობის კანონი“ აკვარელის საღებავებით არის მოხაზული, „დიდოსტატის მარჯვენა“ მკაცრი ფერებით დახატული ფერწერული ტილოა.

რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული „რომეო და ჯულიეტადან“, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში წარმოდგენილი ძალზე სადავო „კორიოლონოსიდან“ „დიდოსტატის მარჯვენის“ ეპიკურად მწყობრ სტრუქტურამდე გ. ქავთარაძის რეჟისურაში უზარმაზარი დისტანციაა. ქავთარაძე, თითქოს, კომედიურ მსახიობად იყო დაბადებული, რეჟისურაში კი სულ სხვა პრინციპებს ერთგულობდა: კომედიურობის სტიქიას სცვლიდა მიდრეკილება ამაღლებული რომანტიკული ფორმებისადმი, რთული პლასტიკური მეტაფორებისადმი, ტრაგიკული სახეებისადმი.

მისი სპექტაკლები ზოგჯერ გამოირჩეოდა გართულებული სიმბოლიკით, მაგრამ წლების მანძილზე სულ უფრო მეტად იძენდა გამჭვირვალე და ლოგიკურ მონახაზებს. ქავთარაძის აქტიორული ნამუშევრების სასიდავე და სიღრმე მის რეჟისურასაც გადაეცა.

და რაგინდ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, გასტროლის ყველაზე „რეჟისორული“ სპექტაკლი გახლდა სადა და ლაზათიანი „მიღების დღე“ ა. ჩხეიძის პიესის მიხედვით, რომელსაც მოსკოველი მაყურებელი იცნობს სახელწოდებით „სამიდან ექვსამდე“. რამაზ ავალიანის (ნ. ბექაური), საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მიერ მოსახლეობის მიღების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბავს ქავთარაძემ მოულოდნელად ექსცენტრიკული ნიშნები მიანიჭა. მან სპექტაკლის გმირები გამოიყვანა ფონოჩაწერის სტუდიის პავილიონში, სადაც რაღაც რადიოსპექტაკლს იწერენ ა. ჩხაიძის ცნობილი პიესის მიხედვით. მან მსახიობებს შესთავაზა ერთდროულად ორპლანიანი იმპროვიზაცია: ეთამაშათ საკუთრივ პიესა სტუდიის მიკროფონების წინაშე და ეთამაშათ საკუთარი თავი შეულამაზებლად, საკუთარი კოსტიუმებით და თავ-თავიანთი სახელებით. ეს მახვილგონიერი თეატრალური თამაში დააგვირგვინა დეიდა მაშომ, დამლაგებელმა, რომელიც სტუდიაში დარჩა სპექტაკლის მოსასმენად (ამ თითქმის უსიტყვო როლს ვირტუოზულად ასრულებს ფ. შედანია). იგი არამარტო ერევა სპექტაკლში მოქმედების კვალობაზე, არამედ ყველაფერი მართალი ჰგონია, და ფინალში დარბაზისა და მსახიობების საერთო სიცილში, ნ. ბექაურს მიმართავს, როგორც რეალურ რამაზ ავალიანს.

ყველა იღბლიანი თეატრი ერთმანეთს ჰგავს. მათში მხოლოდ უნდა დაემთხვეს ლიდერის, მთავარი რეჟისორის ხელწერა ცოცხალ აქტიორულ ტრადიციას, რომელსაც არაერთი თაობა ქმნის. კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრში ეს პირობა დაცულია.

**ნ. კაზმინა.**
**„პრავდა“. 1985 წ. 8-V.**

# მედიკოსები — დიად თარიღს

**დიადი** გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს ახალგაზრდა მედიკოსთა თათბირ-სემინარი, რომელიც ბაკურიანში გაიმართა. თათბირ-სემინარში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის ახალგაზრდა მედიკოსთა საბჭოების თავმჯდომარეებმა და თბილისის მსხვილი სამედიცინო დაწესებულებების ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოების ხელმძღვანელებმა.

თათბირ-სემინარის მონაწილეებს ლექციები წაუკითხეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. მენაღარიშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამედიცინო სექტორის ინსტრუქტორმა ო. გერძმავამ, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ლ. მურუსიძემ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ პ. ლიტვიცკიმ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამეცნიერო ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების გამგემ ზ. სოკოლოვმა, „საქმედტექნიკის“ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ლ. დადიანმა, პროფესორებმა ბ. ნანეიშვილმა, ტ. ი. მატილოვამ, თ. კერესელიძემ და სხვებმა.

იმავე დღეებში თათბირ-სემინართან ერთად ბაკურიანში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა მედიკოსთა მე-14 ტრადიციული სამეცნიერო კონფერენციაც, რომლის ექვს სექციურ სხდომაზე მოისმინეს ასამდე მოხსენება.

დასასრულ, ბორჯომში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ამ რაიონის ექიმებისათვის, რომლის მუშაობაში, ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობდა პროფესორი ვ. ბოჭორიშვილი.

**მ. ქორიძე.**

# დავიცვათ დედამიწა ხანძრისაგან

**მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების ომის საწინააღმდეგო მიტინგი საზღვარგარეთის პროფკავშირული დელეგაციების მონაწილეობით**

**მოსკოვი** კვლავ მორთულია ალისფერი დროშებით. ალისფერი — განახლების, აღმშენებლობის, მშვიდობისა და კლასობრივი სოლიდარობის სიმბოლო დღეს განსაკუთრებით მკაფიოა, მასში თითქოს გაერთიანებულა იმ მიხაკებისა და ტიტების მსუყე ფერები, რომლებიც მიაქვთ დიდებულ მემორიალებთან, ობელისკებთან და ხუთქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებულ სადა ძეგლებთან. საბჭოთა ადამიანებთან ერთად მათ ყვავილებით ამკობენ საზღვარგარეთელი სტუმრებიც.

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული!

დავიწყებული არ არის არც გასული ომის გაკვეთილები. ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც გართულდა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით იმპერიალისტური წრეების მიზეზით, განსაკუთრებით საჭიროა ყველა ხალხის, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანება, მათი პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად. ომის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, სანამ იგი არ დაწყებულა. ეს აღინიშნა 2 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების ომის საწინააღმდეგო მიტინგზე, რომელშიც საბჭოთა დედაქალაქში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის ზეიმზე ჩამოსული საზღვარგარეთის პროფკავშირული დელეგაციებიც მონაწილეობდნენ.

მიტინგზე გამოვიდნენ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ს. ა. შალაევი**, სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **შ. ნადი**, დიდი ბრიტანეთის თამბაქოს მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე **რ. მარტინი**, მოსკოვის ქარხანა „ნამგლისა და უროს“ მუშა **ვ. ვ. კლიუევი**, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტი **ოლგა ბერტოვა**, ნიკარაგუის პროფკავშირული საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე **ნაპოლეონ ლოაისიგა**, ამერიკის შეერთებული შტატების მანქანათსაშენებელი და აეროკოსმოსური მრეწველობის მუშათა ერთაშორისი ასოციაციის გენერალური მდივანი — ხაზინადარი **ი. გლოვერი**, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხრეთ აფრიკის პროფკავშირთა კონგრესის აღმასკომის წევრი **მ. შოუპი**, მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ვ. პეტროვი**.

მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი საზღვარგარეთის პროფკავშირული დელეგაციების მონაწილეობით მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში მშრომელ ადამიანთა სოლიდარობის ნათელ მანიფესტაციად იქცა. (საკდესი).

## ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთობლივი წვრთნის მოწყობის შესახებ

**1985 წლის** 25-31 მაისს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უსტის, კარლოვი-ვარის, რაკოვნიკის, მლადა-ბოლესლავის, ლიბერეცის რაიონში დაგეგმილია მოეწყოს ჯარების ცენტრალური ჯგუფისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის ერთობლივი წვრთნა.

წვრთნა ეწყობა სხვადასხვა გვარეობის ჯარების თანამოქმედების საკითხთა დამუშავების მიზნით.

წვრთნაში მონაწილეობას მიიღებენ სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილები და ქვეგანაყოფები, რომელთა საერთო რიცხვი დაახლოებით 25 ათას კაცს შეადგენს.

# უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

3 მაისი ● საკდესი იუწყება

## ოქმი რატიფიცირებულია

**ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ოქმი ვარშავაში 1955 წლის 14 მაისს დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ, ნათქვამია ცნობაში, ხაზგასმით აღნიშნა ვარშავის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების ისტორიული მნიშვნელობა. ამ ფაქტს წარუვალი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის უშიშროებისათვის, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ამავე დროს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ აღნიშნა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები არასოდეს იყვნენ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკებად ევროპისა და მსოფლიოს დაყოფის მომხრენი. ისინი ახლაც უჭერენ მხარს თავიანთი კავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ბლოკის, ხოლო როგორც პირველი ნაბიჯს ამ გზაზე — მათი სამხედრო ორგანიზაციების ერთდროულ დათხოვნას. მაგრამ სანამ არსებობს ნატოს სამხედრო ბლოკი და საფრთხე ემუქრება ევროპისა და საყოველთაო მშვიდობას, სოციალისტური სახელმწიფოები განამტკიცებენ თავიანთ თავდაცვითს კავშირს.

### — აშშ —

## მოიწონეს სამხედრო ბიუჯეტი

**ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის სენატმა მოიწონა სამხედრო ბიუჯეტი 1986 საფინანსო წლისათვის, რომელიც 1 ოქტომბერს დაიწყება.**

კენჭისყრას წინ უსწრებდა მწვავე ბრძოლა რეიგანის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული „კარაქის ნაცვლად ქვემეხების“ კურსის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. იძულებული გახდნენ რა ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი აზრისათვის, რომელიც სულ უფრო მტკიცედ ილაშქრებს სამხედრო ხარჯების ზრდის წინააღმდეგ, კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს სამხედრო ხარჯების ზრდის ზოგიერთ შეზღუდვას, რომლებიც ადმინისტრაციის მიერ მომავალ საფინანსო წელს დაგეგმილი იყო თითქმის ერთი მესამედი ტრილიონის ოდენობით. მათ მოიწონეს რესპუბლიკელი სენატორების ჩ. გრასლისა და მ. ჰეტფილდის შესწორება, რომლის თანახმად 1986 საფინანსო წელს სამხედრო ხარჯები ზუსტად იმდენით გაიზრდება, რამდენითაც გადიდდება ინფლაციის ტემპი, ესე იგი დაახლოებით 4-5 პროცენტით, და არა 7-8 პროცენტით, როგორც ამას ადმინისტრაცია ვარაუდობდა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ადმინისტრაციის აქტიური ლობისტური კამპანიის მიუხედავად, რომელშიც პრეზიდენტი რ. რეიგანიც მონაწილეობდა და პირადად ურეკავდა დასავლეთ ევროპიდან სენატორებს, რათა დაერწმუნებინა ისინი მთლიანად დაეკმაყოფილებინათ თეთრი სახლის მოთხოვნა.

ზოგიერთ მიმომხილველს სენატში კენჭისყრა რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკისადმი დარტყმად მიაჩნია. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ აზრით, იგი „გახდა შემობრუნების მომენტი რესპუბლიკელთა კონტროლს დაქვემდებარებული სენატის საქმიანობაში, რომელიც, ჩვეულებრივ, მხარს უჭერდა სამხედრო ხარჯების საგრძნობ ზრდას და თითქმის ყველაფერს აძლევდა რეიგანს, რასაც კი იგი მოითხოვდა სამხედრო მიზნით“.

ამავე დროს პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სენატის მიერ მოწონებული ღონისძიებები შეზღუდული ხასიათისაა და ფაქტობრივად არ შეეხება პენტაგონის მიერ შემუშავებული გამალებული შეიარაღების ზრდის ძირითად პროგრამებს.

### პოლონეთი-აშშ —

## საპროტესტო ნოტა

**ვარშავა. როგორც პოლონეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების ვარშავის საელჩოს პირველი მდივნის ვ. მერვუდის და კრაკოვში შეერთებული შტატების კონსულის დ. ჰოპერის დიპლომატიურ სტატუსთან შეუთავსებელი მოქმედების გამო.**

ნოტაში აღნიშნულია, რომ 1 მაისს ნოვა-გუტაში კრაკოვის მახლობლად ორივე ამერიკელი დიპლომატი აღმოჩნდა მილიციის თანამშრომლების მიერ დაპატიმრებულ იმ პირთა შორის, რომლებიც შეეცადნენ გამოეწვიათ უწესრიგობა, ავრცელებდნენ წამქეზებლურ ფურცლებს, მოჰქონდათ ანტიპოლონური ლოზუნგებიანი ტრანსპარანტები.

ამერიკელ დიპლომატთა მოქმედება, ნათქვამია ნოტაში, პოლონეთის საშინაო საქმეებში დაუშვებელი ჩარევაა. მას სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ამერიკის მხრივ პოლიტიკური პროვოკაციის ხასიათის კიდევ ერთ ნაბიჯს. ამრიგად, აღნიშნულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, ამერიკის მხარის განცხადება, თითქოს ესწრაფოდეს პოლონეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, სრულიადაც არ შეესაბამება მის პრაქტიკულ მოქმედებას.

### ვიეტნამი

## დელეგაციათა მიღება

**ხოშიმინი. ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფამ ვან დონგმა მიიღო აქ საზღვარგარეთის დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ ზეიმში პროამერიკული ნეოკოლონიური რეჟიმისაგან სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების მეათე წლისთავის აღსანიშნავად.**

ვიეტნამელი ხალხის მიღწევები უცხოური აგრესიების წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი წარმატებები სოციალისტურ მშენებლობაში, აღნიშნა ფამ ვან დონგმა, განუყოფელია საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მუდმივი მხარდაჭერისაგან. ჩვენ დიდად ვაფასებთ მხარდაჭერას, რომელსაც უწევენ ვიეტნამს პროგრესული საერთაშორისო საზოგადოებრიობა, ჩვენი ქვეყნის მეგობრები პლანეტის სხვადასხვა რაიონში. ვიეტნამელი ხალხი კვლავაც ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა განამტკიცოს მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა.

### ფოტოფაქტი

## სოლიდარობის მანიფესტაცია

**ისრაელ აგრესორთა სასტიკმა ტერორმა სამხრეთ ლიბანში ოკუპირებული მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის არაბი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. მიღებული ცნობებით, ამ რაიონების ბევრ ქალაქსა და სოფელში გაიმართა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლიბანელ ხალხთან სოლიდარობის მასობრივი დემონსტრაციები.**

**მანიფესტანტებმა მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ისრაელ დამსჯელთა სისხლიანი აქციები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, სამხრეთ ლიბანისა და სხვა მიტაცებული არაბული ტერიტორიების ოკუპაცია.**

**სურათზე: მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე გამართული დემონსტრაციის მონაწილენი პალესტინის დროშით ხელში.**

**საკდესის ფოტო.**

**ახლოვდება ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავი. პროგრესულ კაცობრიობას მიაჩნია, რომ ამ თარიღის ღირსეული აღნიშვნა ისტორიისადმი ხარკის მოხდა არ არის. ეს არის კაცობრიობის ბედზე, მომავალზე დიდი ფიქრი, მშვიდობის სამრეკლოდან შემოკრული გამაფრთხილებელი, მამობილიზებელი ზარი.**

**მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში არსებობენ ძალები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელობის მიფუჩეჩებას, ხალხთა მეხსიერებიდან მისი მწარე გაკვეთილების ამოშლას ლამობენ. ისტორიის ფალსიფიკატორები ცდილობენ დააკნინონ საბჭოთა ხალხის გადამწყვეტი როლი ფაშიზმზე გამარჯვებაში, გააზვიადონ დასავლეთის წვლილი და როგორმე გაამართლონ მეორე ფრონტის გახსნის დანაშაულებრივი გაჭიანურება.**

**„ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს ადამიანს, გენიოს შემოქმედს“ ჩარლი ჩაპლინს ამ საკითხებზე თავისი შეხედულება ჰქონდა და პირუთვნელი ობიექტურობით ასახა კიდეც მემუარულ ნაშრომში „ჩემი ბიოგრაფია“, რომელიც ამ მეოთხედი საუკუნის წინათ გამოიცა. მიუხედავად ამისა, იგი დღესაც აქტუალურია, ვინაიდან მასში მხილებულია ამერიკის რეაქციული ძალები, რომლებიც, მართალია, იმ დროს მოქმედებდნენ, მაგრამ ქვეყანას არ მართავდნენ, ორიოდე ათეული წლის შემდეგ კი ისინი თანამედროვე ამერიკის სათავეში მოექცნენ. და რაც აქედან გამოვიდა, კარგად არის ცნობილი.**

**მკითხველებს ვთავაზობთ ამ წიგნის სიუჟეტურად გამართულ ნაწყვეტებს.**

# ჩარლი ჩაპლინი ცოცხალი რომ იყოს!

**პარიზში** კვლავ ომის სუნი დატრიალდა. ნაცისტები შეტევაზე გადმოვიდნენ, რა უცებ დავივიწყეთ პირველი მსოფლიო ომი, სიკვდილის ოთხი მტანჯველი წელი! რა უცებ დავივიწყეთ ომის მიერ ცხოვრების დინებიდან ამოსროლილი ადამიანები — მკლავმოგლეჯილები, ფეხწაჭრილები, სინათლედამრეტილები, ყბამოგლეჯილები, ათასნაირად დაკვრანჩხული ხეიბრები! ვინც არ მოკვდა ან არ დაიჭრა, სულ ერთია, ომის საშინელებას მაინც არ გაქცევია — სული დაუმახინჯდათ. მინოტავრივით, ახალგაზრდები შთანთქა ომმა, ცინიკოსი ბებრები კი ცოცხალი დატოვა, ძალიან ადრე დავივიწყეთ ომი... ადამიანის სახით მოვლენილ საშინელ ურჩხულს — ადოლფ ჰიტლერს ქვეყანაც კვლავ სიგიჟე მოჰქონდა.

ჯერ კიდევ კაციშვილმა არ იცოდა ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკების ამბავი. პირველი ცნობა ამ ბანაკების შესახებ გამოჩნდა ჩემი მეგობრის კორნელიუს ვანდერბილტის სტატიებში. მან როგორღაც მოახერხა ერთ-ერთ ასეთ ბანაკში შესულიყო და მერე აღეწერა, როგორ აწამებდნენ ადამიანებს ნაცისტები. მაგრამ მათი ჯოჯოხეთური მხეცობის ამბავი ისეთი ფანტასტიკური ჩანდა, რომ ძალიან ცოტა ვინმემ თუ დაიჯერა.

ვანდერბილტმა გამომიგზავნა მთელი სერია საფოსტო ღია ბარათებისა, რომლებზედაც გამოსახული იყო ჰიტლერი სიტყვის წარმოთქმის დროს. უსიამოვნოდ კომიკური სახე ჰქონდა — ჩემი მაწანწალის უხეირო იმიტაცია, იგივე სულელური ულვაში, ჯიუტად გაფუშქილი სლიპინა თმა, გულისამრევი თხელი, მოკუმული ბაგეების ვიწრო ზოლი. ჰიტლერზე სერიოზული ფიქრი არ შემეძლო. ყოველ ღია ბარათზე სულ სხვადასხვა პოზაში იყო გამოსახული. ერთ სურათზე ხელები მარწუხებივით გაუშლია და ბრბოს სიტყვით მიმართავს; მეორეზე — ერთი ხელი მაღლა აუშვერია, მეორე დაბლა დაუშვია, თითქოს კრიკეტს თამაშობს და ეს-ეს არის უნდა ჩამოაწოდოსო, მესამეზე — წინ დაუშვია მომუჭული ხელები, თითქოს ჰანტელები უნდა აზიდოსო. მისალმების დროს რომ ზეაწეულ ხელს ცოტათი უკან გადაწევდა და ნებს აღმა მოაქცევდა, მუდამ მომივლიდა ხოლმე სურვილი — ტალახით სავსე თეფშიანი ლანგარი დამედო იმ ნებზე.

— ნამდვილად დამთხვეულია — ვფიქრობდი ჩემთვის. მაგრამ როცა აინშტაინი და თომას მანი აიძულეს გერმანია დაეტოვებინათ, ჰიტლერი უკვე კომიკურ ტიპად არ მეჩვენებოდა, არამედ ბოროტების მთესველ საშინელებად.

ალექსანდრე კორდამ (გამოჩენილი ინგლისელი კინორეჟისორი, 1898-1956 წწ. —ა.ა.) 1937 წელს მირჩია ჰიტლერზე ფილმი დადგიო, სიუჟეტი აგებული უნდა ყოფილიყო ორი ადამიანის მსგავსებაზე — ჰიტლერსაც ხომ ისეთივე ულვაში ჰქონდა, როგორიც ჩემს მაწანწალას! შენ თვითონვე შეასრულებ ორივეს როლსო, მითხრა. მაშინ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია კორდას სიტყვებისათვის, მაგრამ ახლა უკვე საჭირბოროტო გახდა ეს თემა, თანაც ერთი სული მქონდა, სანამ დავიწყებდი და უცებ გამიელვა თავში! რა თქმა უნდა! რაკი ჰიტლერის როლში გამოვალ, ვილაპარაკებ კიდეც, ბრბოს სიტყვით მივმართავ, რაც ენაზე მომადგება ყველაფერს დავროშავ. მაწანწალას როლში კი ძველებურად მუნჯი დავრჩები; ნაწილობრივ მაინც ჰიტლერის თემა დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა ბურლესკისა და პანტომიმისათვის. ფრთაშესხმული დავბრუნდი ჰოლივუდში და წერას შევუდექი. ორი წელი მოვუნდი მის დამთავრებას.

მოვიფიქრე პროლოგი. დაიწყებოდა პირველი მსოფლიო ომის სცენით. ეკრანზე გამოჩნდებოდა შორსმსროლელი ზარბაზანი „დიდი ბერტა“, რომელიც სამოცდათხუთმეტ მილზე უწვდენდა ყუმბარას და რისი იმედითაც გერმანელებს მოკავშირეების დაშინების იმედი ჰქონდათ. რეიმსის ტაძრის დანგრევას განიზრახავენ და მიზანში ამოიღებენ, მაგრამ სინამდვილეში საპირფარეშოს მოხვდება და სულ დაფუშნის.

თითქმის შუაზე მქონდა მიყვანილი „დიქტატორის“ სცენარი, როცა „იუნაიტედ არტისტსიდან“ (კინოგაერთიანება, რომელიც მერი პიკფორდმა, დუგლას ფერბენქსმა და ჩარლი ჩაპლინმა დააარსეს— ა. ა.) შემაშფოთებელი ცნობები მომივიდა. მაფრთხილებდნენ, ფილმის გამო ცენზურასთან უთანხმოება გექნებაო. ინგლისის სააგენტოც ჩვენი კომპანიისა ასეთივე შიშს გამოთქვამდა ანტიჰიტლერული სურათის გამო, საეჭვოდ მიაჩნდათ, ინგლისში მისი ჩვენება ალბათ მოუხერხებელი იქნებაო. მაგრამ მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ბოლომდე მიმეყვანა საქმე, რადგან ჰიტლერი უსათუოდ უნდა აეგდოთ სასაცილოდ!

„დიქტატორის“ გადაღების დროს მუქარის წერილები მომდიოდა. ხოლო, როდესაც დავამთავრე გადაღება, ასეთმა წერილებმა სულ უფრო იმატა. ზოგ წერილში მემუქრებოდნენ, სურათის დემონსტრაციის დროს კინოდარბაზში მახრჩობელა გაზს გავუშვებთ და ეკრანსაც ტყვიებს დავუშენთო, ზოგი სკანდალის მოწყობით მაშინებდა... ერთი პირობა გადავწყვიტე, პოლიციას შევატყობინებ-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე — მაყურებლის დაფრთხობას მოვერიდე.

ჯერ კიდევ არ მქონდა დამთავრებული „დიქტატორი“, რომ ინგლისმა ნაცისტებს ომი გამოუცხადა... თავიდან ყველა ფრონტზე სიწყნარე იყო. „გერმანელები თავის დღეში ვერ გაარღვევენ მაჟინოს ხაზს“, —ვამბობდით ჩვენ. ამას მალე მოჰყვა კატასტროფა — გერმანელები ბელგიაში შეიჭრა, მაჟინოს ხაზის გარღვევა, დიუნკერკის საშინელება და საფრანგეთი ოკუპირებული აღმოჩნდა. სულ უფრო და უფრო დამაღონებელი ამბები მოდიოდა... ახლა უკვე დეპეშებმა იწყო დენა ნიუიორკის კანტორიდან. ფეთიანივით მაჩქარებდნენ: „დააჩქარეთ ფილმის გამოშვება, ყველანი მოუთმენლად ელოდებიან“.

ამ დროისათვის ჰიტლერმა რუსეთში შეჭრა გადაწყვიტა. ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ იგი საბოლოოდ გაგიჟდა. შეერთებული შტატები ჯერ არ ჩაბმულიყო ომში, მაგრამ ინგლისშიაც და ამერიკაშიც დიდი შვება იგრძნეს.

„დიქტატორი“ დიდი წარმატებით სარგებლობდა ამერიკაში, თუმცა ალბათ ჩუმი მტრებიც გამიჩინა. ეს პირველად პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ვიგრძენი.

რეცენზიები სხვადასხვაგვარი იყო. კრიტიკოსების უმრავლესობას არ მოსწონდა ჩემი სიტყვა, რომელსაც ფილმის დასასრულს წარმოვთქვამ. ნიუ-იორკის „დეილი ნიუსი“ წერდა ჩემზე, კომუნისტურ თითს იშვერს მაყურებლისკენო.

ხალხმა ერთხმად მოიწონა ფილმი, ვინ იცის რამდენი აღფრთოვანებული წერილი მივიღე!

ფილმის შემდეგ ერთი კვირა იქნებოდა გასული, როცა „ნიუიორკ ტაიმსის“ მფლობელ არტურ სულცბერგერთან მიმიწვიეს საუზმეზე. როცა მივედი „ტაიმსის“ სულ ზემო სართულში ამიყვანეს, რედაქციის აპარტამენტში. სასტუმრო ოთახში ტყავის სავარძლები იდგა, კედლებზე ნახატები და ფოტოსურათები ეკიდა. ბუხართან შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი იდგა, წვრილთვალა, მაღალი კაცი, თავი წმინდანივით ეჭირა (ამერიკის 31-ე პრეზიდენტი 1929-1933 წლებში, გამოირჩეოდა რეაქციული პოლიტიკით— ა. ა.) თავისი უავგუსტესი პირონების მობრძანებით პატივს სცემდა იქაურობას.

— მისტერ პრეზიდენტ, ეს ჩარლი ჩაპლინი გახლავთ, — ჩემი თავი გააცნო სულცბერგერმა ამ დიდ კაცს.

— ვიცი, — ღიმილით თქვა მან, — ჩვენ შევხვედრივართ ერთმანეთს დიდი ხნის წინათ.

იდგა ბუხართან ეს კაცი და მისთვის უჩვეულო გულკეთილობით შემოგვყურებდა. თორმეტნი ვიყავით, მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით. წინასწარვე მითხრეს, რომ ასეთ საუზმეზე მხოლოდ რჩეულებს იწვევდნენ.

ატმოსფერო საუზმეზე ოფიციალური იყო და ლაპარაკი ჭირდა. მისტერ ჰუვერს ყველა ასე მიმართავდა: „მისტერ პრეზიდენტ!“ თანაც იმაზე უფრო ხშირად, ვიდრე ეს საჭიროდ მომეჩვენა. თანდათანობით აშკარა შეიქნა, რომ აქ შემთხვევით არა ვყოფილვარ მოპატიჟებული. მისტერ სულცბერგერმა მალე გაფანტა ყოველგვარი ეჭვი: როგორც კი სუჩემე ჩამოვარდა, ჰუვერს მიმართა:

— მისტერ პრეზიდენტ, ევროპაში თქვენს სავარაუდო მისიაზე გვამბნეთ რამე.

მისტერ ჰუვერმა დანა-ჩანგალი დადო, ლუკმა დაღეჭა, გადაყლაპა და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რაზედაც, ეტყობოდა, მთელი საუზმის დროს ფიქრობდა. ლაპარაკის დროს თავის თეფშს დაჰყურებდა, მაგრამ დროდადრო ხან მე გადმომხედავდა, ხან — სულცბერგერს.

— ყველამ კარგად ვიცით, რა სავალალო დღეშია ამჟამად ევროპა, როგორ სწრაფად იმატა შიმშილმა და უბედურებამ. იმდენად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა, რომ მე მოვახერხე დამერწმუნებინა ვაშინგტონი სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა.

და მოჰყვა ფაქტებისა და ციფრების ჩამოთვლას პირველი მსოფლიო ომის დროს თავისი მისიის შესახებ, „როცა მთელ ევროპას ჩვენ ვკვებავდით“.

— ამ მისიას, — განაგრძო მან, არა პარტიული, არამედ წმინდა ჰუმანური მიზანი აქვს. მგონი თქვენც უნდა იყოთ დაინტერესებული ამით, — მომმართა და ისევ გადმომხედა.

მე დინჯად დავუქნიე თავი.

— როდის აპირებთ ამ გეგმის განხორციელებას, მისტერ პრეზიდენტ? — ჰკითხა სულცბერგერმა.

—როგორც კი ვაშინგტონის თანხმობას მივიღებთ, — მიუგო მისტერ ჰუვერმა, მაგრამ ვაშინგტონსაც ხალხისაგან წაქეზება და ცნობილი მოღვაწეების მხარდაჭერა სჭირდება, —ისევ გადმომხედა და მეც ისევ დავუქნიე თავი.— ოკუპირებულ საფრანგეთში, — განაგრძო მან, — მილიონობით გაჭირვებული ადამიანია. ნორვეგიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, მთელს ევროპაში სულ უფრო და უფრო მატულობს შიმშილი, — ლამაზად ლაპარაკობდა...

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მე ჩავახველე და ვთქვი:

— მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ზუსტად ისეთი არ არის, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს. საფრანგეთიც და ბევრი სხვა ქვეყანაც მთლიანად ოკუპირებულია. ბუნებრივია, ჩვენ არ გვინდა, რომ აქედან გაგზავნილი საკვები ნაცისტებს ჩაუვარდეთ ხელში.

მისტერ ჰუვერმა კოპები შეკრა. სხვები შეიშმუშნენ, ჯერ მისტერ ჰუვერს გადახედეს, მერე — მე.

მისტერ ჰუვერი კვლავ დაიბღვირა და თვალები თავის თეფშს გაუსწორა.

— ჩვენ უნდა შევქმნათ სავსებით მიუკერძოებელი კომისია... ჰააგის კონვენციის მიხედვით, მოწყალების კომისიებს უფლება ენიჭებათ შემწეობა აღმოუჩინონ ორივე მხარის სნეულებსა და გაჭირვებულებს. მე ვფიქრობ, განაგრძო ჰუვერმა, თქვენ როგორც ჰუმანისტი ადამიანი, მოიწონებთ ასეთი კომისიის შექმნის იდეას.

მე მაინც ჩემს სიტყვაზე ვიდექი.

— სულით და გულით დავუჭერდი მხარს ამ იდეას, ოღონდ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ სანოვაგე ნაცისტებს არ ჩაუვარდებათ ხელში, — გავიმეორე მე.

ჩემს სიტყვებზე კვლავ შეიშმუშნა ხალხი.

— ჩვენ ხომ გაგვიკეთებია ამისთანა რამე, — შეკავებული გაღიზიანებით თქვა ჰუვერმა.

— ვფიქრობ, მისტერ პრეზიდენტს არ გაუჭირდება ამ სიტუაციაში გარკვევა, —თქვა ერთმა.

— დიდებული იდეაა, — დამაჯერებლად განაცხადა სულცბერგერმა.

— გეთანხმებით, — ვუთხარი რბილად, — და მთელი ასი პროცენტით დავუჭერ მხარს, თუკი მისი პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ ებრაელებს დაეკისრებათ.

— ოჰ, — მკვახედ მომიჭრა მისტერ ჰუვერმა, —ეს შეუძლებელია. (იმდროინდელი დასავლეთი ევროპა ფაშისტური ჩექმის ქვეშ გმინავდა. ადამიანებს კბილებს და თმას აცლიდნენ. იოლი წარმოსადგენია, ვის ხელთ მოხვდებოდა ამერიკული სურსათი. მაგრამ ასეთი იყო ჰუვერებისა და სულცბერგერების სურვილი, რასაც წინ აღუდგა ჩარლი ჩაპლინი და უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკში მტრებიც გაიჩინა. ამის შედეგები მალე იჩენს თავს — ა. ა.).

პუბლიკაცია მოამზადა
**ა. ამალიანმა.**

**(დასასრული იქნება)**

ფერილი ნოვოსიბირსკიდან

# და კვლავ პრემიერა!

**ჩვენთვის,** ნოვოსიბირსკელებისათვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როცა საკონცერტო დარბაზების შესასვლელთან გაისმის: „ზედმეტი ბილეთი ხომ არ გექნებათ?". ასე იყო მაშინაც, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ნოვოსიბირსკის კამერული გუნდი ახალი პროგრამით რომ გამოდიოდა. იგი შედგენილი იყო საბჭოთა კომპოზიტორების საგუნდო ნაწარმოებებისაგან: გ. სვირიდოვის ა. ს. პუშკინის „სამი ლექსი", ი. ფალიკის „იგორ სევერიანინის პოეზიაკონცერტი გუნდისათვის ექვს ნაწილად", ვ. კალისტრატოვის „ციმბირული სიმღერები" და პრემიერა— ქართველი კომპოზიტორის ი. ქეჯაყმაძის „ხუთი საგუნდო პარაფრაზი ძველი თბილისის თემებზე".

დიდი გემოვნებით შედგენილი პროგრამა საბჭოური საგუნდო მუსიკის მრავალწახნაგოვან პალიტრას ასახავდა. აქ წარმოდგენილი [illegible]

ა. მინდიაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ქ. ნოვოსიბირსკი.

**ქალაქ** ჭიათურის მესამე საშუალო სკოლას 15 წელზე მეტი ურთიერთობა აქვს მოძმე რესპუბლიკების მრავალ სკოლასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეგობრობა უკრაინის რესპუბლიკის კიროვოგრადის ოლქის ზნამენსკის რაიონის ვლადიმიროვსკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ევლახის რაიონის ხალდანის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის ქელასურის საშუალო სკოლებთან.

# კლუბი „წითელი მიხაკი"

ქართველი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და აფხაზი მოსწავლეები და მასწავლებლები [illegible] თის ხშირი სტუმრები არიან [illegible] თმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მონაწილეობენ მოსწავლეთა და პიონერთა შეკრებებში, ფესტივალებში და სხვა.

სწორედ მეგობრობის [illegible] უდევს საფუძვლად სასკოლო [illegible]

[illegible]

ა. შარიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

**აროხაში** ყოფნისას ბევრი მიწვევა მივიღე ძველი მეგობრებისაგან, პარტიზანთა ადგილობრივი სექციებისაგან, მეზობელი სოფლებისა და ქალაქების მესვეურთაგან. დაუვიწყარი მასპინძლობა გამიწია სან მაურიციოში ცოლქმარ ლაურა და ჯუზეპე პეტინაროლების ოჯახმა. ომის მძიმე წლებში ლაურას დედა, „მამა" კარინა, როგორც მაშინ სიყვარულით უწოდებდნენ მას პარტიზანები, ბევრ გარიბალდელს იფარებდა, თვითონ იკლებდა და მათ აჭმევდა. გამორჩეულ მზრუნველობას კი მაინც ორი ქართველის — ვალოდიასა და გრიგოლის მიმართ იჩენდა. სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მათ ხსენებასა და მოლოდინში იყო...

სტეფანე ბონდარენკო რაროსტოვის ოლქიდან უნ[illegible] ფილიყო, თუმცა აქამდე [illegible] თესავი თუ ახლობელი [illegible] გამოჩენილა.

ამ რამდენიმე დღის [illegible] თბილისის ტექნიკური [illegible] კის ინსტიტუტის თანამშ[illegible] მა, იტალიური ენის ჩინ[illegible] მცოდნემ ქალბატონმა ნე[illegible] ზუაზიძემ, რომელიც დიდ[illegible] მეგობრობს ყოფილ [illegible] პარტიზანებთან, ნოვარიი[illegible] ზეთ „რეზისტენცა უნიტა[illegible] თიანი წინააღმდეგობა)" [illegible] მარტის ნომერი მიიღო. [illegible] თში, ისევე როგორც ჩვენ[illegible] მუნისტში", გამარჯვების 4[illegible] სთავთან დაკავშირებით [illegible] ტურად ქვეყნდება ინფორმ[illegible]

[illegible]

# 40 წლის უკვდავება

[illegible]

ვახტანგ ესაკიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
იტალია—თბილისი.

სპორტი

# დამაჯერებლად მოქმედებდნენ

## მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩების შედეგები

**გაიმართა** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

**ევროპის პირველ შესარჩევ ჯგუფში** ითამაშეს ბელგიელებმა და პოლონელებმა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ბელგიელებმა. ახლა ბელგიელებს 7 ქულა აქვთ (10-დან), პოლონელებს — 3 (6-დან), ალბანელებს — 3 (8-დან), ბერძნებს— 3 (8-დან).

**მეორე ჯგუფში** გფრ-ის ფეხბურთელებმა მორიგი შეხვედრა სტუმრად ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან გამართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1. ამ ჯგუფში გუნ[illegible] ხაზებში დამაჯერებლად მოქმედებდნენ. ამავე ჯგუფში გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა. ირლანდიელებმა მიიღეს ნორვეგიელები. მატჩი დამთავრდა ფრედ —0:0. დღეისათვის მეექვსე ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: შვეიცარია — 5 ქულა (8-დან), სსრ კავშირი—4 (8-დან), დანია — 4 (6-დან), ნორვეგია — 4 (10-დან), ირლანდია — 3 (8-დან). სსრ კავშირის ნაკრები მორიგ მატჩს დანიელებთან 5 ივნისს სტუმრად გამართავს.

**მეშვიდე ჯგუფში** უელსის ნაკრებმა უმასპინძლა ესპანელებს. გა[illegible]

[illegible]

# სატურნირო ორბიტა

[illegible]

ამბიდი

# რას გვპირდება მაისი?..

[illegible]

რედაქტორი
გ. გელიტაშვილი.

მუზეუმთა საუნივერსიტეტო

[illegible]

ბ. ბერძე,
ხელოვნების [illegible]

[illegible]

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

# მთვრალ მძღოლს სასამართლო დასჯის

[illegible]

# კონცერტები სოფლად

[illegible]

მოამბე

ჩვენი ტელეეკრანი

[illegible]



[illegible] საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] თბილისი, ლენინის ქ. 14, [illegible]